ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 22 ნოემბერი, 2017 №277 (7512) ფასი: 50 თეთრი

უკრაინა სააკაშვილის ექსტრადირებისთვის ემზადება?

გვ.2

21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

„მთავრობამ კალაძის შევიწროება დაიწყო“

თეონა ჭალიძე: „ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმება მხოლოდ სტრუქტურული ცვლილებების გამო არ მომხდარა“

გვ.4

სანდრო ბრეგაძე: „ქართული მარში არ იშლება“

„მოვიტყუეთ, როცა ვთქვით, რომ ვიშლებით, რადგან საზოგადოების რეაქცია გვაინტერესებდა“

მიხეილ დუნდუა: „ლარის დასტაბილურება შესაძლებელია“

გვ.5

კადიროვი სტალინის ნეშტს გვატენის

— გვ. 2 —

გვ.2

ირაკლი სესიაშვილი: „ჯაველინი“ არის ის, რაც ძალიან გვჭირდება“

სამართალი გვ.7

„ინტერტრანსის“ ოფისიდან 30 ათასი ლარი მოიპარეს

რა გახდა ბათუმში 24 წლის ქალის გარდაცვალების მიზეზი?

კოკა კაციტაძე: „ბრალდებულები მზად არიან, დაასახელონ ის პირები, რომლებმაც პატიმრების დამცირების დავალება მისცეს“

ეკონომიკა გვ.6

აზარტული თამაშები: რატომ დასჭირდა კანონპროექტის მომზადებას 5 წელი?

„სასაკლაოზე დასაკლავი საქონელი აღარ შემოდის“

თვითმავალი სატვირთო ავტომანქანები სამუშაო ადგილებს წელიწადში 300.000-ით შეამცირებენ

ISSN 1987-9385

3 შესთავაზებს თუ არა მინსკი თავის საშუამავლო როლს თბილისს?

4 თბილისში 11 სილამაზის სალონი დაჯარიმდა

5 CO-თი ინტოქსიკაციით 3 წელიწადში 82 ადამიანი დაიღუპა

8 ნიგერიაში ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 50-მდე გაიზარდა

ირაკლი სესიაშვილი: „ჯაველინი“ არის ის, რაც ძალიან გვჭირდება“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოსთვის 75 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ტანჯსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების, „ჯაველინის", მონოდების გადაწყვეტილებაზე საუბრობს.

„ჩვენ იარაღს არავის წინააღმდეგ არ ვყიდულობთ“

– ბატონო ირაკლი, რას ნიშნავს სახელმწიფო დეპარტამენტის ეს გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვისუნარიანობისთვის?

– ეს არის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველო უფრო დაცული ხდება, ვიდრე დღეს არის. ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად დადებით გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. ამიტომ ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა, შეიძლია ერთმნიშვნელოვნად გითხრათ, განუზომლად დიდი და ფასდაუდებელია.

ჩვენი ხელისუფლება ძალიან სერიოზულ რეფორმებს ატარებს შეიარაღებულ ძალებში, თავდაცვის სამინისტროში. მიხარია, რომ ლევან იზორია ძალიან აქტიური მინისტრია. მიუხედავად იმისა, რომ მე არ მჩვევია ზოგადად მინისტრების ქება, უნდა აღვნიშნო, რომ მან რამდენიმე ძალიან მგრძნობიარე რეფორმა გაატარა. ამაში თავდაცვის ყოფილი მინისტრებიც კი დამეთანხმებიან.

სულ რამდენიმე ხანში ახალი სარეზერვო სისტემა ამოქმედდება, ასევე, ძალიან წარმატებული ვიზიტი იყო სახელმწიფო დეპარტამენტში. ერთი სიტყვით, ამ ყველაფერზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ ამერიკამ ეს თანხმობა მოგვცა სწორედ ამ გადმოსახედიდან, რომ ჩვენ ვართ რეფორმებზე ორიენტირი დემოკრატიული ქვეყანა. ამერიკის ვიცეპრეზიდენტმა, ბატონმა პენსმა საქართველოში ვიზიტის დროს საქართველოს „მოკავშირე“ უწოდა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პარტნიორობას თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, არამედ ეს ნიშნავს ჩვენი ქვეყნის აღიარებას, როგორც თანასწორის, სანდო პარტნიორის. როდესაც ამერიკა ძალიან ცივილიზებულ მოთამაშედ გაღიარებს და გენდობა, ეს სხვადასხვა მიმართულებითაც იქონიებს გავლენას.

– ექსპერტები, მათ შორის ოპოზიციის ლიდერები, მაგალითად, ბოკერია, დადებით მოვლენად მიიჩნევენ ამ გადაწყვეტილებას. თუმცა, გიგა ბოკერია იქვე ამბობს, რომ ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების გეგმა არ აქვს. რას უპასუხებთ?

– თუ ობიექტურები იქნებიან ჩვენი ოპონენტები, ვინც არ უნდა იყოს ის, მათ უნდა აღიარონ, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნის წარმატება და მისი ხვალინდელი დღის დაცულობა. ბოკერია ამას აცხადებს პოლიტიკურ კონტექსტში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მართლაც არაფერი ხდება თავდაცვაში, მაშინ სახელმწიფო დეპარტამენტი როგორ იღებს ამ დონის გადაწყვეტილებას?! ეს განცხადება კარგად წარმოაჩენს ბოკერიას სახეს. აშშ-ის თავდაცვის მდივანი, ნატოს ექსპერტები, ბოკერიასგან განსხვავებით, უმაღლეს შეფასებებს აკეთებენ. სწორედ რეფორმების, ჩვენი პოლიტიკური გუნდის სწორი, ცივილიზებული პოლიტიკის გატარების შედეგია ამ გადაწყვეტილების, ამ ნდობის საერთო გამოძახილი.

– ჩვენი მკითხველისთვის რომ უფრო ნათელი იყოს, რას მოიცავს ეს სამხედრო ტექნიკა, „ჯაველინის“ კომპლექსი?

– „ჯაველინი“ არის თანამედროვე ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ტანკსაწინააღმდეგო საშუალება. ეს არის ტანკსაწინააღმდეგო, სარაკეტო კომპლექსი. ეს არის ის, რაც ჩვენი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას ძალიან სჭირდება. ეს არის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო სისტემები ჩვენი თავდაცვისუნარიანობის ხერხემალია. ეს არის ის, რაც ძალიან გვჭირდება.

– თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი წერს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ბოლომდე მიიყვანა თავის გუნდთან ერთად.

– ერთი შემიძლია გითხრათ, ცხადია, ყველა მინისტრი გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან. რასაკვირველია, ყველა მინისტრს უნდოდა უკეთესი ჯარი, უკეთესი ტექნიკური შესაძლებლობები, უკეთესი თავდაცვა. ყველა მინისტრს შეჰქონდა თავისი წვლილი ამ პროცესში. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, ყველას მადლობა ამისთვის.

– ბატონო ირაკლი, ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთისთვის შეიძლება ეს გამაღიზიანებელი ფაქტორი აღმოჩნდეს?

– რუსეთი ყველაფერზე ღიზიანდება, რაც უკავშირდება საქართველოს გაძლიერებას, საერთაშორისო ურთიერთობებს. რუსეთი სხვა საერთაშორისო პოლიტიკას მიიჩნევს პრიორიტეტად, ჩვენ – სხვას. რუსეთს, სამწუხაროდ, საერთაშორისო სამართალი იგნორირებული აქვს. რუსეთი ცივილიზებული მოთამაშე რომ იყოს, მას უნდა აწყობდეს ძლიერი, უსაფრთხო სისტემა თავის მეზობლად.

– თუმცა, ჩვენ სხვა რეალობა გვაქვს.

– დიახ. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის ჩვენი თავდაცვის ეფექტური საშუალება და სხვა არაფერი. ჩვენ არავის წინააღმდეგ იარაღს არ ვყიდულობთ. ჩვენ გვსურს, ჩვენი საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებითა და ვალდებულებით დავიცვათ ქვეყანა. ეს არის და ეს.

– ამერიკის ელჩმა თქვა, რომ ისინი პატივს სცემენ საქართველოს გადაწყვეტილებას მის თავდაცვასთან დაკავშირებით.

– სწორად თქვა. ეს მხოლოდ ის არ არის, რომ იარაღს ვყიდულობთ, მაგალითად, ინვესტორსაც უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ამ ქვეყანას შეუძლია თავის დაცვა. უცხოელი ბიზნესმენი როდესაც ხედავს, რომ შეერთებული შტატები ასე აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან, თანამედროვე თავდაცვის საშუალებებს იძენს, რა თქმა უნდა, იმ ინვესტორსაც აქვს განცდა, რომ ეს ქვეყანა თანამედროვე, ცივილიზებული სამყაროს ნაწილია.

კადიროვი სტალინის ნეშტს გვაჭენის

შორენა მარსაგიშვილი

ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაური რამზან კადიროვი აშკარად მთავარი ქართველი სტალინისტის, გრიშა ონიანის გულის მოგებას ცდილობს. ჩეჩენთა მეთაური ითხოვს, რომ დიდი ბელადის ნეშტი, რომელიც კრემლის კედელთან არის დამარხული, საქართველოს გადაეცეს.

მისი აზრით, სამართალი იზეიმებს, თუ სტალინის ნეშტი საქართველოს გადაეცემა.

სტალინი კადიროვს ლენინმა გაახსენა, ორივე ბელადზე კი ჩეჩნეთის მეთაური ინტერფაქსს ესაუბრა. მისი აზრით, ლენინის დამარხვის დრო მოვიდა.

– არაერთხელ მითქვამს, რომ საჭიროა ლენინის დამარხვა, თუმცა პირადად ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, მავზოლეუმში იქნება ის თუ სხვაგან. მეკითხებიან, საკუთარ აზრს გამოვთქვამ, – აცხადებს ინტერფაქსთან საუბარში ჩეჩნეთის მეთაური.

ეტყობა, კადიროვს ვიღაცამ ამცნო, რომ ქართველებს ერთი სული გვაქვს, როდის მივაყრით ქართულ მიწას სტალინის ნეშტს.

ჩეჩნეთის გულმოწყალე ლიდერი ფიქრობს, რომ რუსეთის მხრიდან კეთილი ნება უნდა იქნეს გამოვლენილი და სტალინი საქართველოს გადაეცეს.

– კეთილი ნება უნდა იყოს გამოვლენილი და სტალინის ნეშტი საქართველოს გადაეცეს, რომ ის სამშობლოში დამარხონ. საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, რომელსაც იოსებ სტალინი მართავდა. ამიტომ ლოგიკური და სამართლიანია, თუ საქართველოს მისი დამარხვის შესაძლებლობა მიეცემა, რუსეთის მილიონობით ადამიანი კი შვებით ამოისუნთქავს იმის გამო, რომ სტალინის სული რუსეთს დატოვებს, – აღნიშნა კადიროვმა.

ჩეჩნეთის მეთაურის ეს ინიციატივა საქართველოში აუცილებლად გახდება დაპირისპირების მიზეზი. ჩვენთან ამ ადამიანს ჯერ კიდევ ჰყავს მომხრეები. სტალინის დედა, მოგეხსენებათ, მთაწმინდაზეა დაკრძალული. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ვიღაც მოითხოვს, რომ ბელადს დედის გვერდით გაუთხარონ სამარე.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დეპუტატი ნიკა რურუა, კადიროვის ინიციატივას პროვოკაციად აფასებს. მისი თქმით, ჩეჩნეთის მეთაურს სურს, საქართველო ცივილიზებული სამყაროს თვალში გააბანძოს.

რურუა არ გამორიცხავს, ამ ინიციატივის უკან რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ.

– რა აქვს მიზნად ამ განცხადებას? კადიროვი, ვიცით, რომ პუტინის მარიონეტია, თავიდან ბოლომდე არის პუტინის დასმული, გაძლიერებული, პუტინის მოურავია თავისივე სამშობლოში, ხაზს ვუსვამ, დაპყრობილ სამშობლოში. ამიტომ ეს განცხადება ეკუთვნის პუტინს, რეალურად რუსეთს და ესაა იმ ჰიბრიდული ომის ნაწილი, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებს და ეს კონკრეტული აქტი მიზნად ისახავს, მთელი მსოფლიოს წინაშე გამოგვაჩინოს ძალიან ჩამორჩენილ, განუვითარებელ, მორალური ორიენტირის არმქონე ერად, გაგვაბანძოს, მარტივად რომ ვთქვათ, მთელი თავისუფალი სამყაროს თვალში, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში რურუამ.

სტალინის ნეშტის სკანდალისგან შესაძლოა ცხინვალმა გვიხსნას და დიდი ბელადის ძვლები მათ მოითხოვონ დასამარხად. რამდენიმე წლის წინ, როცა გორიდან სტალინის ძეგლი აიღეს, სამხრეთელი ოსების ლიდერმა კოკოითიმ განაცხადა, რომ ისინი სიამოვნებით აღმართავდნენ სტალინის ძეგლს.

უკრაინა სააკაშვილის ექსტრადირებისთვის ემზადება?

შორენა მარსაგიშვილი

კიევში სულ უფრო აქტიურად განიხილავენ საქართველოს მესამე პრეზიდენტის ექსტრადირების საკითხს, რომელიც, თავის მხრივ, 3 დეკემბერს პეტრო პოროშენკოს წინააღმდეგ სახალხო იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას გეგმავს.

გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ექსტრადირების მოსამზადებელ სამუშაოებს უკავშირდება უკრაინიდან ქართველი მებრძოლების გამოყრა. საუბარია იმ მებრძოლებზე, რომლებიც ოდესის ოლქის გუბერნატორს უჭერენ მხარს.

რამდენიმე დღის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში სამხედრო ექსპერტმა ტრისტან წითელაშვილმა განაცხადა, რომ ის კიევშია მიწვეული, სადაც სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემასაც აპირებს.

წითელაშვილი არ გამორიცხავს, რომ უკრაინის პროკურატურა სააკაშვილის წინააღმდეგ სამხილებს აგროვებს, რათა მის დაკავებას ბევრი კითხვა არ მოჰყვეს. სამხედრო ექსპერტი ვარაუდობს, რომ ოდესის ყოფილ გუბერნატორს წლის ბოლოსთვის დააკავებენ.

უკრაინელებს თუ ჩვენებურის დაკავება სერიოზულად აქვთ გადაწყვეტილი, ისინი, ბუნებრივია, მხოლოდ წითელაშვილის ჩვენებებს არ დაეყრდნობიან. გავრცელებული ინფორმაციით, კიევმა თბილისს სააკაშვილის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა სთხოვა, რათა მისი დაკავება კიდევ უფრო გაიოლდეს.

საქართველოში მიხეილ სააკაშვილზე 4 სისხლის საქმეა აღძრული. მას ვალერი გელაშვილის ცემას, 9 მილიონის გაფლანგვას, 7 ნოემბრის დარბევასა და სანდრო გირგვლიანის საქმეს ედავებიან.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის სააკაშვილისთვის არცერთ საქმეზე არ გამოუტანიათ განაჩენი.

დღეს, 22 ნოემბერს, სანდრო გირგვლიანის ხმაურიანი საქმის განხილვა იქნება. სანდრო გირგვლიანის საქმეზე კუდის ყოფილი უფროსის დათა ახალიას დაკითხვა იგეგმება. ახა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შესთავაზებს თუ არა მინსკი თავის საშუამავლო როლს თბილისს?

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ლუკაშენკოსთვის ახალ ფორმატს ამზადებს

მარიამ მჭედლიშვილი

2018 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მოხიგი ოფიციალური ვიზიტით ენვეკა ბელოხესის პრეზიდენტი აღექსანდრ ღუკაშენკო.

ლუკაშენკოს წინა ვიზიტის დროს მხარეებმა დასახეს, რომ ორ ქვეყანას შორის ტვირთბრუნვა 200 მილიონი დოლარის მოცულობას მიაღწევს. დღეს ბელორუსის ლიდერი აცხადებს, რომ ამ მხრივ პროგრესია და დასახული ამოცანის შესრულება რეალურია. არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტის ვიზიტისას მინსკმა თბილისს ახალი ინიციატივები გააცნოს.

საქართველო და ბელორუსი ოთხ სხვა ქვეყანასთან ერთად შედიან ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამაში.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მორიგი სამიტი 24 ნოემბერს გაიმართება. სამიტზე საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ცალკე ჯგუფში გააერთიანებენ.

მინსკისთვის ევროკავშირიდან 2020 წლამდე გათვალისწინებულია 136 მილიონი ევროს გამოყოფა რეფორმებისა და ევროპულ ნორმებთან დაახლოებისათვის.

ევროკავშირსა და ბელორუსს შორის ჯერ დოკუმენტი არა გაფორმებულა. მინსკში მიიჩნევენ, რომ ბელორუსსა და ევროკავშირს შორის სრულფასოვანი შეთანხმებაა დასადები. ამასთან, ბელორუსში ფიქრობენ, რომ ეს არ უნდა იყოს ასოცირების შეთანხმება, ანუ ისეთი დოკუმენტი, რომელიც ევროკავშირმა გააფორმა საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან.

ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ მაკეი მიანიშნებს მინსკის საშუამავლო შესაძლებლობებზე. ცოტა ხნის წინ ლუკაშენკომ დონბასში საერთაშორისო მისიის ეგიდით საკუთარი ქვეყნის ძალების განლაგების წინადადება წამოაყენა, რასაც კიევი თავშეკავებულად შეხვდა. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში გარკვეული როლის შესრულება მინსკმა თბილისსაც შესთავაზოს.

დასავლურ მედიასთან ინტერვიუში მაკეი აცხადებს, რომ ბელორუსი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის დამოუკიდებელი და სრულფასოვანი სუბიექტი, ცდილობს, განახორციელოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.

ევროკავშირმა 24 ნოემბრის სამიტზე შესაძლოა მინსკს შესთავაზოს ახალი ტიპის თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობა+“.

კეთილგანწყობის მიუხედავად, ევროკავშირს ბელორუსის მიმართ სერიოზული პრეტენზიები აქვს. ისინი ეხება ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებს, სიკვდილით დასჯის მექანიზმის მოქმედებას და მკაცრ რეგულაციებს ეკონომიკაში.

ევროკავშირთან მოთანამშრომლე ბელორუსი რჩება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის აქტიურ წევრად. ამასთან, მოკავშირეობის ფარგლებში ქვეყნის საგარეო კურსს რუსეთთან ათანხმებს.

რუსეთთან ლუკაშენკოს რთული ურთიერთობა აქვს.

შარშან მინსკმა უარი თქვა გაზპრომისთვის 700-მილიონ-დოლარიანი ვალის გადახდაზე და რუსეთისაგან მოითხოვა გაზის საფასურის შემცირება. მოძმე მოსკოვმა ამის პასუხად მინსკს დავალიანების დაფარვამდე შეუმცირა ნავთობის მიწოდება.

გერმანული „დი ველტის“ შეაფსებით, ლუკაშენკოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ გააცივა ყირიმის ანექსიამ. მან ჩათვალა, რომ რუსეთს შეიძლება მადა გაეხსნას და მსგავსი რამ ბელორუსშიც ჩაიდინოს.

– ბელორუსში ტარდება რბილი ბელორუსიფიკაცია. ამას პოლიტოლოგები ლუკაშენკოს სტრატეგიას უწოდებენ. მას არ ახლავს თან დემოკრატიზაცია. ლუკაშენკო ავტოკრატად რჩება, მისი ქვეყნის ეკონომიკა კი რუსეთზეა დამოკიდებული. მინსკმა წინააღმდეგ მისცა ხმა გაეროს იმ რეზოლუციას, რომელიც ყირიმში ადამიანის უფლებათა შელახვას და რუსეთის საოკუპაციო ძალებს ეხება, – აღნიშნავს გერმანული მედია.

„დი ველტის“ დასკვნით, ლუკაშენკო რუსეთს ზურგს ვერ შეაქცევს. ამის მიზეზია არა მხოლოდ რუსეთისადმი შიში, არამედ მდგომარეობა ქვეყანაში – თუ ბელორუსში დემოკრატიზაცია და რეფორმები დაიწყო, ლუკაშენკოს ძალაუფლება შეირყევა.

სანდრო ბრეგაძე: „ქართული მარში არ იშლება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქართული მარშის ერთ-ერთი დამფუძნებელი სანდრო ბრეგაძე პასუხობს.

– ბატონო სანდრო, გასულ კვირას აქტიურად საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ ქართული მარში იშლებოდა, რომ თქვენ ტოვებდით მას. მოგვიანებით თქვენი განცხადებებიდან გაირკვა, რომ იცრუეთ, საზოგადოების კონკრეტული ნაწილი მიზანმიმართულად შეიყვანეთ შეცდომაში. რა იყო ამ დეზინფორმაციის გავრცელების მიზანი?

– ქართული მარში არის უნიკალური მოვლენა ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. ეს გახლავთ ფაქტობრივად ფინანსების გარეშე არსებული ორგანიზაცია, რომელიც კონკურენციას უწევს ქვეყანაში არსებულ ძირითად ორ პოლიტიკურ ძალას, ეს არის ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. ერთი მხრივ, ნაციონალური მოძრაობა რუსთავი 2-ის ხელით ებრძვის ქართულ მარშს, ხოლო მეორე მხრივ, „ქართული ოცნება“ ტელე-იმედის მეშვეობით ასევე გვებრძვის. ეს მრავლისმეტყველი ფაქტია. ეს იმის მანიშნებელია, რომ ძლიერი ხარ და შენი ეშინიათ.

რაც შეეხება ჩემს მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული მარში შეიძლება დაიშალოს, მე საზოგადოებას შევთავაზე ერთგვარი ფორმულა იმისა, რომ თუკი მათ შეუძლიათ უფრო უკეთესის და უფრო კარგის გაკეთება, ეროვნულობის, ქართველობის, ტრადიციების და ჩვენი რწმენის დასაცავად, კი ბატონო, გააკეთონ და ჩვენ დავუდგებით რიგით ჯარისკაცებად. ეს იყო ჩემი შეთავაზება. თუმცა ამ ბოლო მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ქართული მარში აუცილებია ქართული სახელმწიფოსთვის ისევე, როგორც ადამიანისთვის აუცილებელია წყალი არსებობისთვის.

– ბოლო მოვლენებში რას გულისხმობთ?

– როდესაც ჩვენ გამოვაცხადეთ, ქართული მარში შეიძლება დაიშალოსო, ერთგვარი ზეიმი და ტკვარცალი ატყდა ლიბერასტთა და დეგენერატთა რიგებში. მაგალითად, რომ ავიღოთ რუსთავი 2, მათ ზარზეიმით ამცნეს საზოგადოებას, ასევე ტვ იმედმა. ნანუკა ჟორჟოლიანმა საერთოდ ფართი მოაწყო და გვარამია და გაბუნია მთელი ღამე ერთობოდნენ. ყველა ზეიმობდა და ჩვენ მოთმინებით ვუყურებდით ამათ ზეიმს. ნათლად გვსურდა დაგვენახა, თუ რეალურად ვის და რას წარმოადგენს ჩვენი მტერი. როგორც დავინახეთ, ჩვენი მტერი არის საკმაოდ სუსტი, საკმაოდ უნიათო და მათი გაბაიბურება ადვილად არის შესაძლებელი.

– და შემდეგ გამოაცხადეთ, რომ არ იშლებით და ეს იყო ფარსი?

– პირდაპირ გეტყვით, ჩვენ ვეღადავეთ ნანუკა ჟორჟოლიანებს, გაბუნიებს, გვარამიებს და მამათმავლებს. მეორე მხრივ, ქართველ საზოგადოებს დავანახეთ ერთი რამ, თუ რამდენად საჭიროა ქართული მარში ქართველი საზოგადოებისთვის. მოგვაწოდეს თავის ბრძნული აზრები, თურმე შინაგან საქმეთა მინისტრი რომ შეიცვალა, ქართული მარშიც იმიტომ იშლება, რომ თურმე რუსეთიდან დაფინანსება შეგვიწყდა და ასე შემდეგ. ყველას ვაცადეთ და საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რომ ესენი არიან ერთუჯრედიანები, რომლებსაც არც ანალიზის და არც ლოგიკის უნარი არ გააჩნიათ.

– ანუ რეაქციები გაინტერესებდათ და იმიტომ შემოაგდეთ ეს თემა?

– რეაქციები თავისთავად საინტერესო იყო, მაგრამ საზოგადოებას ასევე დავუსვით კითხვა, რომ თუ არ გინდათ ქართული მარში, მაშინ ქართული მარში დაიშლება. თუმცა საზოგადოებისგან ჩვენ მივიღეთ ათიათასობით წერილი იმის თაობაზე, რომ ქართული მარში არ უნდა დაშლილიყო. ჩვენ მივიღეთ საზოგადოების ფართო მხარდაჭერა. მოსახლეობის მაჯისცემა გამოიცნობა იმ სოციოლოგიური კვლევით, რომელიც შეგიძლია შენ ჩაატარო.

„მოვიტყუეთ, როცა ვთქვით, რომ ვიშლებით, რადგან საზოგადოების რეაქცია გვაინტერესებდა“

– სოციოლოგიური კვლევა ჩაატარეთ?

– ჩვენ დავსვით საკითხი, დაიშალოს ქართული მარში თუ არა? და შევხედეთ ხალხის რეაქციას. რეაქცია კი იყო ცალსახა, ქართული მარში უნდა გაძლიერდეს. ჩვენ ეს გზავნილი მივიღეთ და ამიტომ გაორმაგებული ენერგიით შევუდგებით მტრების და მოღალატეების წინააღმდეგ ბრძოლას.

მე გარწმუნებთ, რომ საკმაოდ ცხელი ზამთარი და გაზაფხული ელით საქართველოს მოღალატეებს. ჩვენი ეს ბრძოლა უნდა დამთავრდეს ჩვენი მტრების სრული განადგურებით.

– მოვისმინეთ შეფასებები, რომ ქართული მარში აქტიურად ემზადება პოლიტიკაში მოსასვლელად 2020 წლისთვის. ასეა?

– ჩვენი ბრძოლა არ მიმდინარეობს პოლიტიკაში მოსასვლელად. პოლიტიკაში ვიყავი, ვიყავი პარლამენტის დეპუტატი, ფრაქციის თავმჯდომარე და მინისტრთა კაბინეტის წევრიც ვიყავი. რომ მდომოდა პოლიტიკაში ყოფნა და თანამდებობაზე ყოფნა, არავინ არ მიშლიდა ამას. არჩევნებში მონაწილეობა არ არის ჩვენი მიზანი.

– მაშინ რა მიზანი გაქვთ?

– ჩვენი მიზანი არის იმ ჩამპალი სისტემის შეცვლა, რომელიც დღეს არის ქვეყანაში დანერგილი და რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ლიბერასტული დიქტატურა. კამპანია დაიწყეს ზოგიერთმა ტელევიზიებმა, რომ ქართული მარში აღარ გავაშუქოთო, მაგრამ სახლში მივარდებიან. საღარბაზოსთან დამხვდნენ კომენტარის ჩასაწერად. ცენზურას აწესებენ ქვეყანაში, ვინ უნდა გააშუქონ და ვინ არა. ე.ი. მამათმავლები და კოლგოტკიანი კაცები გააშუქეთო, ხოლო ჩოხაში ჩაცმული ნამდვილი ქართველი ვაჟკაცები არ გააშუქოთო. ჩვენ მათ კუდით ქვა უნდა ვასროლინოთ!

– კაცმოძულეობას, არაჰუმანურობას აბრალებენ თქვენს ორგანიზაციას და ასევე სერიოზული შავი ფული იხარჯება ამ ორგანიზაციის სახელითო, ასეა?

– ახლა თუ გგონიათ, რომ კაცთმოყვარეობა იმას ნიშნავს, რომ კაცმა კაცი შეიყვაროს და კაცი კაცს მოეფეროს, ამ კუთხით ჩვენ კაცთმოძულეები ვართ, მაგრამ რეალურად ჩვენ ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები და ჩვენ ვართ კაცთმოყვარეები! დღეს სასწორზე დევს ჩვენი შვილების, მომავალი თაობების განვითარება! მე გეტყვით პირდაპირ, თუ რის წინააღმდეგ იბრძვის ქართული მარში.

– რის წინააღმდეგ?

– ჩვენ ვიბრძვით საქართველოს მტრების, მოღალატეების მიზნის წინააღმდეგ, რომ ქართველი ეთნიკური უმცირესობა გახდეს საქართველოში. ანუ 50%-ზე დაბლა ჩამოვიდეს ეთნიკური ქართველების რიცხვი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამისათვის სამი ფრონტი არის გაშლილი. პირველი არის ეკონომიკური სიდუხჭირე, რომელიც იწვევს ჩვენი ოქროს ფონდის, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ემიგრაციას სხვადასხვა ქვეყნებში. ორ მილიონამდე ადამიანია გასული და უახლოეს წლებში კიდევ ნახევარი მილიონი ქართველის გასვლა იგეგმება. მეორე ფრონტი, რომელიც გაშლილია ამ ყველაფრის წინააღმდეგ, არის ის, რომ ჩვენი გამრავლება არ უნდა მოხდეს ჩვენს ქვეყანაში და ვინ ვერ მრავლდებიან?!

– ვინ?

– ვერ მრავლდებიან ლესბოსელები და მამათმავლები. ამის პროპაგანდა გამოიწვევს შობადობის შემცირებას ქვეყანაში. ასევე მესამე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია – არაბეთიდან და აზიიდან რაც შეიძლება მეტი ლტოლვილის შემოყვანა ქვეყანაში. მათი შემოსვლა უკვე 300%-ით არის გაზრდილი. ამათი მიზანია, რომ საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა შეიცვალოს ისე, რომ ეთნიკურად ქართველი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდეს უმცირესობაში. ეს კი ნიშნავს საქართველოს სიკვდილს.

ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე შევებრძოლებით ამას! ვინც ქართველების წინააღმდეგ იბრძვიან, ისინი მოღალატეები არიან და მათ შენი ჭირიმე შენ გენაცვალეთი ვერ დავუწყებთ ლაპარაკს.

– შავი ფულის შესახებ რას იტყვით?

– შავ ფულს რაც შეეხება, ჩვენ არც ამერიკიდან ვფინანსდებით, არც რუსეთიდან და არც მონღოლეთიდან! თუ ელემენტარულად გული შეგტკივათ, ქართველო ბიზნესმენებო, ადექით და მცირედი თანხები გაიღეთ იმისთვის, რომ ქართული ეთნოსის და ქართული სახელმწიფოს გადარჩენა მოხერხდეს! თორემ მართლა ცოდოები ვართ შიშველი ხელებით ამ ბრძოლაში!

უკრაინა სააკაშვილის ექსტრადირებისთვის ემზადება?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლაია საქართველოდან გაქცეულია და ის სკაიპის მეშვეობით მისცემს ჩვენებას.

სანდრო გირგვლიანის საქმეზე ყოფილ პრეზიდენტს ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც, ადვოკატის განმარტებით, 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პროკურატურის ინფორმაციით, დანაშაულის დაფარვის მიზნით მიხეილ სააკაშვილი დათა ახალაიას დაჰპირდა, რომ გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულებს შეიწყალებდა, რაც მან 2008 წელს გააკეთა.

სააკაშვილის ადვოკატი დავით კაკოიშვილი ვარაუდობს, რომ ბრალდება ცდილობს გირგვლიანის საქმის სწრაფად დასრულებას. გამოცემა „რეზონანსთან“ საუბარში კაკოიშვილი ამბობს, რომ გირგვლიანის საქმე სიმბოლურია, რათა ყველაფერი ექსტრადირების მოთხოვნას მიაბას.

ექსტრადირების მოლოდინშია თავად სააკაშვილიც. ამის შესახებ მან რამდენიმე განცხადებაც გააკეთა. 2 დღის წინ მან ექსტრადირებასთან დაკავშირებით უკრაინის ხელისუფლებას რჩევებიც მისცა.

მისი თქმით, საქართველოში ექსტრადირების შემთხვევაში ის ძალიან მალე გამოვა ციხიდან. სხვათა შორის, ამაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებიც საუბრობენ და ალბათ ამიტომაც არის, რომ ყველაფერს აკეთებენ, რათა ეს არ მოხდეს.

„მთავრობამ კალაძის შევიწროება დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

ჰატომ შეჰყავთ მერიაში ჯეიძო აუდიტი, ჰა ხდება ტენდერებთან დაკავშირებით, ჰატომ აჰ გაუხაჰდათ „ოცნებასა" და ივანიშვილს პირველივე ტუჰში ჯაღაძის გამაჰჯვება, ჰატომ გაუქმდა სინამდვილეში ენერგეტიკის სამინისტრო? – ამის შესახებ „ახალ თაობას" პოლიტიკური პარტია „ახალი საქართველოს" სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი თეონა ჭალიძე ესაუბრება.

თეონა ჭალიძე: „ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმება მხოლოდ სტრუქტურული ცვლილებების გამო არ მომხდარა“

რატომ შეჰყავთ მერიაში აუდიტი

თეონა ჭალიძე:

– კახა კალაძემ თბილისის მერიაში აუდიტის შეყვანა გადაწყვიტა. აშკარაა, რომ ამ ადამიანს პიარი არ ესწავლება და ის ისევ წინასაარჩევნო კამპანიაში იმყოფება – ყოველდღიურად პიარნაბიჯებს დგამს. მერიაში კერძო აუდიტის შეყვანა, მერიის სსიპების, აიპებისა და სამსახურების შესწავლა, ჩემი აზრით, არის პიარნაბიჯი.

აქვე მინდა გითხრათ ისიც, რომ დედაქალაქის მერიაში კერძო აუდიტის შეყვანას დავით ნარმანიაც აპირებდა. მან მომსახურებაზე ტენდერიც კი გამოაცხადა, მაგრამ ეს ტენდერი შეწყდა.

– რა მიზეზით?

– ვერ გეტყვით. ტენდერში მონაწილეობაზე განაცხადი რამდენიმე აუდიტორულ კომპანიას ჰქონდა შეტანილი, მაგრამ 30 აგვისტოს ტენდერი შეაჩერეს. ახლა უკვე კალაძემ გამოაცხადა აუდიტორული მომსახურების მიზნით ტენდერი, რაც პირადად ჩემში ბევრ ეჭვს იწვევს.

ეს ტენდერი გახლავთ მიკერძოებული, მორგებული და ჩაწყობილი. ხელოვნურად არის დაწეული ფასები მომსახურებაზე. ტენდერში რამდენიმე კომპანია მონაწილეობს. წინადადების მიღება უკვე დასრულებულია. გამარჯვებული ჯერ ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ, მაგრამ არაოფიციალურად ტენდერს უკვე ჰყავს გამარჯვებული.

გამარჯვებულმა კომპანიას აუდიტორული მომსახურებისთვის 120.000 ლარი უნდა მიიღოს. ეს ფული ჩვენ, თბილისელებმა უნდა გადავიხადოთ. პირადად მე ეჭვი მეპარება, რომ შემოწმება სამართლიანად ჩატარდება. ეჭვებს ის ფაქტი მიჩენს, რომ ტენდერში შპს „პრიმა აუდიტი“ მონაწილეობს.

ეს კომპანია პირდაპირ ასოცირდება „ქართულ ოცნებასთან“, შესაბამისად, მის მიერ დადებული დასკვნა ობიექტური ვერ იქნება. ასევე მნიშვნელოვანია ამ კომპანიის ხელმძღვანელ მურად ნარსიას კავშირები. ეს ადამიანი 2016 წლის დასაწყისში გახდა აიპ „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

თქვენს მკითხველს ალბათ ემახსოვრება ამ კომპანიის რამდენიმეწლიანი მუშაობა და მასთან დაკავშირებული სკანდალები. ამ ფესტივალის მოსამზადებელი პერიოდი ბევრ ხმაურთან იყო დაკავშირებული. ამ აიპის მუშაობა სახელმწიფო აუდიტმა შეაფასა და მისი დასკვნაც ხმაურიანი იყო. კომიტეტის მუშაობაში ძალიან ბევრი დარღვევა იქნა აღმოჩენილი და ბოლოს, როგორც ვიცი, ეს საქმე პროკურატურაში იქნა გაგზავნილი.

აი, ამ აიპის ლიკვიდატორად ფიქსირდება მურად ნარსია, რომელსაც ახლა მერია უნდა შეამოწმებინონ. ეს ადამიანი, როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული პროექტების, სიპებისა და აიპების შავი საქმეების ჩამფარცხავია. მას შავი ხვრელების ამოვსებისა და შელამაზების ფუნქცია აკისრია.

ამის გარდა, ჩემს ეჭვებს სატენდერო პირობებიც იწვევს. დარწმუნებული ვარ, ის ამ კომპანიაზეა მორგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გაიმარჯვებს.

– სხვა კომპანიამ რომ გაიმარჯვოს?

– მაშინ ვიტყვით, რომ ტენდერი სამართლიანად ჩატარდა, მაგრამ დაველოდოთ და ვნახავთ, რომ გამარჯვებული ნარსიას კომპანია დარჩება. მე ამ თემაზე ვესაუბრე სხვადასხვა აუდიტორული კომპანიის წარმომადგენლებს. მათ მითხრეს, რომ ფასი ხელოვნურად დაწეულია. ამბობენ, რომ 120.000 ლარად შეუძლებელია ობიექტური და ხარისხიანი აუდიტის ჩატარება. რამდენიმე მათგანმა ამის გამო თქვა უარი ამ ტენდერში მონაწილეობაზე. არადა, მათ ადრე არაერთი ტენდერი აქვთ მოგებული.

– ამბობთ, რომ ფასი ხელოვნურად არის დაწეული. თქვენ ესაუბრეთ აუდიტორული კომპანიების წარმომადგენლებს. მათი აზრით, დაახლოებით რა დაჯდება მერიის სსიპების, აიპებისა და სამსახურების ხარისხიანი შემოწმება?

– ზუსტი თანხა არ ვიცი. აუდიტორული კომპანიები ამბობენ, რომ ფასი ხელოვნურად არის დაგდებული. ამ ადამიანებს არაერთი ტენდერი აქვთ მოგებული და მათ ვენდობი.

– რატომ გადაწყვიტეს კერძო აუდიტის შეყვანა? მერიას ხომ ჰყავს თავისი აუდიტის სამსახური, ასევე არის სახელმწიფო აუდიტი.

– მერიის შიდა აუდიტში ხელფასებს იმიტომ იღებენ, რომ მათ უნდა განახორციელონ იგივე მომსახურება, რაშიც ჩვენ 120.000 ლარი უნდა გადავიხადოთ. ჩვენ იმის გარანტია მაინც რომ გვქონდეს, რომ კერძო აუდიტი ობიექტურ დასკვნას დადებდა, კიდევ შეიძლებოდა, 120.000 ლარის დახარჯვაზე თვალი დაგვეხუჭა. საქმე იქით მიდის, რომ მერიაში არსებული დარღვევების „გაპრავება“ უნდათ.

– თქვენი ვარაუდით, კალაძეს მერიაში კერძო აუდიტი იმიტომ შეჰყავს, რომ ნარმანიას დარღვევები „გაუპრავოს“? იყო მოსაზრება, რომ ახალი მერი წინამორბედის ცოდვების ამოქექვას აპირებდა.

– მე უფრო მგონია, რომ საქმე „გაპრავებასთან“ გვაქვს – ესენი მაინც ერთ გუნდს წარმოადგენენ. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ კალაძეს აუდიტის დასკვნა იმისთვის სჭირდება, რომ წინამორბედზე უკეთესი იყოს.

არავისთვის დამალული არაა ის, რომ მერის თანამდებობა ამ ადამიანისთვის პრემიერობისკენ მიმავალ გზაზე ერთგვარი ტრამპლინია, მერობის პერიოდს წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენებს. ის მუდმივად ამ რეჟიმში იქნება. კალაძე ყველანაირად შეეცდება იმის დამტკიცებას, რომ სხვაზე უკეთესია და პრემიერობას იმსახურებს.

ამ გზაზე მას წინაღობების გადალახვაც მოუწევს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ამ ამბიციების გამო მას მმართველ გუნდში მხარდაჭერა შეუსუსტდა. სხვათა შორის, არც ბიძინა ივანიშვილია იმის მომხრე, რომ კალაძემ ბოლომდე გაშალოს ფრთები.

– ივანი შვილი კალაძის გაპრემიერებას ეწინააღმდეგება?

– ივანი შვილს უნდა, რომ „ოცნების“ წარმომადგენლები მისი კონტროლის არეალიდან არ გავიდნენ.

– კალაძეს შეძლებს მისი კონტროლის არეალიდან გასვლას?

– „ოცნებიდან“ ამის უნარები და შესაძლებლობები მხოლოდ თბილისის ახალ მერს აქვს. სხვებისგან განსხვავებით, მას ბევრად მეტი შანსი აქვს საიმისოდ, რომ დამოუკიდებელ ფიგურად ჩამოყალიბდეს. ყველაფერთან ერთად, კალაძე ძალიან კარგად ფლობს პიარის ხელოვნებას, რის აზრზეც არ იყო დავით ნარმანია. ის რაღაც-რაღაცებს აკეთებდა, მაგრამ ამას საზოგადოებას ვერ აწვდიდა. ახალმა მერმა შეიძლება ძველზე ნაკლები გააკეთოს, მაგრამ პიარი იცის და თავის გაკეთებულს კარგად წარმოაჩენს.

ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ის არჩეული მერია და მან არჩევნები პირველივე ტურში მოიგო, რაც დამოუკიდებლობისთვის მეტ სტიმულს აძლევს. ის აუცილებლად გაშლის ფრთებს.

პირველ ტურში გამარჯვება ვახსენე და ამაზეც მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა. ეს ძალიან პრინციპული იყო თავად კალაძისთვის, რადგანაც არც ივანი შვილსა და არც „ოცნების“ დიდ ნაწილს არ სურდა, რომ თბილისის ახალი მერი პირველივე ტურში გამოვლენილიყო.

– რატომ არ უნდოდათ პირველ ტურში კალაძის გამარჯვება „ოცნებასა“ და ივანი შვილს?

– იმიტომ, რომ მისთვის სათქმელი ექნებოდათ, ეტყოდნენ, მართალია, გაიმარჯვე, მაგრამ ამისთვის მეორე ტური გახდა საჭიროო. სიმართლე თუ გინდათ, კალაძემ, ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე გაიარა. მან 51.09%-ით მოიგო პირველი ტური. 1.09%-ით ნაკლები რომ მიეღო, მეორე ტური დაინიშნებოდა. ეს 1.09% 3.950 ხმაა. ეს 3.950 ხმა მთელ თბილისზე რომ გავანაწილოთ, თითო საარჩევნო უბანზე 5-6 ხმა გამოდის. ახალ მერს უბნებზე 5-6 ხმით ნაკლები რომ მიეღო, მეორე ტურში მოუწევდა ბრძოლა.

ზემოთ გითხარით, რომ კერძო აუდიტის შეყვანით კალაძეს რაღაცების „გაპრავება“ სურს, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, მას სხვა მიზანიც ამოძრავებდეს. არ არის გამორიცხული, მას მართლაც აინტერესებდეს, რა დარღვევებს აქვს მერიაში ადგილი. იმასაც ველოდები, რომ ხალხის დასანახად ვიღაცები დასაჯონ.

– ანუ მერიაში დაჭერებს უნდა ველოდოთ?

– ერთი-ორი ლიფსიტა შეიძლება პასუხისგებაში მისცენ და მათზე გადატეხონ ჯოხი. ეს დასჯა თვალსაჩინოებისთვის იქნება მხოლოდ. რაიმე სერიოზულ დარღვევებს საასშკარაოზე არ გამოიტანენ. ამ სერიოზულ ინფორმაციებს კალაძე თავისთვის შეინახავს.

– თქვენ თქვით, რომ „ოცნებაში“ არ უხარიათ, კალაძემ პირველივე ტურში რომ მოიგო არჩევნები. მის წინააღმდეგ საბოტაჟს ხომ არ ექნება ადგილი?

– „ოცნებამ“ უკვე დაიწყო კალაძის შეზღუდვები. თქვენი აზრით, შემთხვევით მოხდა სტრუქტურული ცვლილებები? კალაძე ყველა ვარიანტში შეინარჩუნებდა გავლენებს ენერგეტიკის სამინისტროზე. მთავრობა ადგა და ეს სამინისტრო სხვა უწყებას შეუერთა.

„ქართული ოცნება“ მაქსიმალურად შეეცდება მისი გავლენების შესუსტებას. მართალია, პირველივე ტურში გაიმარჯვა, მაგრამ ვერ მოახერხა, თავიდან ბოლომდე თავისი გუნდით დაეკომპლექტებინა მერია. მან ვერ შეცვალა ნარმანიას კადრები, მხედველობაში მყავს თბილისის რაიონების გამგებლები და საქალაქო სამსახურების უფროსები.

– ეს ხალხი თავისი სურვილით დატოვა თუ დაატოვებინეს?

– აშკარაა, რომ მას არ მისცეს ნება, თავიდან ბოლომდე თავისი კადრებით დაეკომპლექტებინა მერია. ეს მის სამომავლო მუშაობაზე პირდაპირ აისახება.

– ფიქრობთ, ძველი კადრები მას პრობლემებს შეუქმნიან?

– ვფიქრობ, კალაძეს იმ კადრებთან მუშაობა გაუჭირდება, რომლებიც უშუალოდ მის დაქვემდებარებაში არ არიან.

– დედაქალაქის საკრებულოსთან როგორი ურთიერთობა ექნება? იქ „ოცნებამ“ 40 წევრი გაიყვანა. მერი ყველა მათგანს აკონტროლებს?

– სიმართლე რომ გითხრათ, საკრებულოს „ოცნების“ დეპუტაციაზე სრულად არა მაქვს ინფორმაცია. ვისზეც მაქვს ინფორმაცია, ვხედავ, რომ ისინი პოლიტიკურად ანგაჟირებული არიან.

ისინი ჯერ კიდევ ვერ გამოვიდნენ იმ მდგომარეობიდან, რომ 9-წლიან რეჟიმზე არ ისაუბრონ. „ქართული ოცნება“ უკვე მეექვსე წელია, ხელისუფლებაშია და, წესით, ასე ხშირად 9 წელზე აღარ უნდა ლაპარაკობდეს. ახალი საკრებულოს ახალგაზრდულ ნაწილს რომ ვუსმენ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისინი იქ 9 წელზე სალაპარაკოდ შეიყვანეს. მათაც ჰგონიათ, რომ ამ თემაზე რაც უფრო ბევრს ილაპარაკებენ, ზემდგომებთან უფრო მეტ ქულას დაიწერენ.

ისინი 9 წელზე საკრებულოში მოხვედრამდეც ბევრს საუბრობდნენ და შესაძლოა სწორედ ამიტომაც დასვეს ამ ადგილზე. მესმის, რომ იმ 9 წლის განმავლობაში ბევრი ცუდი ხდებოდა, მაგრამ ყველაფერზე 9 წლის ძახილი არ შეიძლება.

– წინა მოწვევის საკრებულოს თქვენც და სხვებიც ნარმანიას ნოტარიუსს ეძახდით. ეს საკრებულო კალაძის ნოტარიუსი იქნება თუ არა?

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ასეც იქნება. წინა კვირას ახალმა მერმა საკრებულოს მიმართ ძალიან დიდი უპატივცემულობა გამოიჩინა – ის თავის მიერვე წარდგენილი მთავრობის დასამტკიცებლად არ მივიდა, ამაზე საკრებულოს უმრავლესობას არანაირი რეაქცია არ ჰქონია. იმის მაგივრად, რომ აღშფოთებულიყვნენ, კალაძეს „აპრავებდნენ“, ვალდებული არ არის, საკრებულოში მოვიდესო.

თბილისში 11 სილამაზის სალონი დაჯარიმდა

თბილისის მერიამ დაურეგისტრირებლობის გამო სილამაზის 11 სალონი დააჯარიმა. შესაბამისი გადაწყვეტილება თბილისის მერიის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ცენტრმა მიიღო.

ცენტრის დირექტორი ციცო დილებაშვილი საქმის კურსთან ამბობს, რომ საბოლოო განაჩენი სასამართლოს გამოაქვს. უმრავლეს შემთხვევაში სასამართლო სხდომების დროს სალონების მეპატრონეებს რეგისტრაცია უკვე გავლილი აქვთ და მოსამართლე სანქციას აღარ აკისრებს, თუმცა, ობიექტს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მაინც უფორმდება. ჯარიმა დაურეგისტრირებლობის შემთხვევაში 500 ლარია.

რაც შეეხება დარღვევებს სტერილიზაცია-დეზინფექციის მიმართულებით, ცენტრის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად სულ 2 ჯარიმა გამოიწერა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სალონებს ამ მიმართულებით დარღვევები არ აქვთ. საქმე ისაა, რომ ცენტრი სალონებში პირველ შესვლაზე მათ არ აჯარიმებს და მხოლოდ შესაბამის რეკომენდაციებს აძლევს, რომელიც გონივრულ დროში უნდა გამოსწორდეს. ციცო დილებაშვილი აცხადებს, რომ პირველ შემთხვევაში დარღვევები პრაქტიკულად ყველა სალონში ფიქსირდება, თუმცა, კარგი ტენდენციაა, რომ მეორე შესვლაზე დარღვევების უმეტესობა გამოსწორებული ხვდებათ. ამ შემთხვევაში ჯარიმა 50 ლარს შეადგენს.

ციცო დილებაშვილი ამბობს, რომ სალონებთან მუშაობა „ძალიან ჭირს, რამდენადაც ზოგიერთი მათგანი აცხადებს, რომ რეგულაციების შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ აქვთ. ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, წელიწადნახევარია აღნიშნულ საკითხზე ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს და დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაცია ღია და ხელმისაწვდომია.

– არის სალონები, რომლებიც ამბობენ, რომ მათ არ გაუგიათ ახალი მოთხოვნების შესახებ, მაგრამ ეს არ არის გამამართლებელი. როდესაც ის არის სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული, ვალდებულია იცოდეს სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონი, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ ის უნდა იყოს დარეგისტრირებული და ინფექციის კონტროლი უნდა იყოს მოწესრიგებული პროტოკოლის მიხედვით, – აცხადებს ციცო დილებაშვილი.

მიხეილ დუნდუა: „ლარის დასტაბილურება შესაძლებელია“

რა რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს ეროვნული ბანკი

გულიკო ბალაძე

ეკონომისტი მიხეილ დუნდუა „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ლარის კურსის დასასტაბილურებლად ეროვნული ბანკის მხრიდან უფრო სწრაფი მოქმედებები და იმ რეკომენდაციების შესრულებაა საჭირო, რომლებიც სავალუტო ფონდმა გასცა.

– ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ფონდის ბევრი რეკომენდაცია გაითვალისწინა. ველოდები, რომ დარჩენილ რეკომენდაციებსაც გაითვალისწინებს და ლარს პრობლემები მოეხსნება, – განაცხადა მიხეილ დუნდუამ.

– ბატონო მიხეილ, არჩევნები დამთავრდა და ლარის გაუფასურებაზე დაიწყო ისტერია. თქვენ, ალბათ, ინალიზი გააკეთეთ ამ ხნის განმავლობაში. რამ გამოიწვია ლარის კურსის მკვეთრი ცვლილება?

– რამდენიმე წელია მეოთხე კვარტალში ლარი უფასურდება. ბიზნესსექტორისთვის ყველაზე ცუდი ისაა, რომ კურსის არასტაბილურობა მტკივნეულად აღიქმება. შეიძლება ლარი მკვეთრად გამყარდეს ან მკვეთრად გაუფასურდეს. ამ დროს ის გადაწყვეტილებების მიღებისაგან თავს იკავებს და კურსის დასტაბილურებას ელოდება. ეს ძალიან პრობლემატური საკითხია. ეროვნულმა ბანკმა ბევრი კარგი ნაბიჯი გადადგა მრავალი მიმართულებით. ვფიქრობ, ამ კუთხითაც სერიოზული ნაბიჯი უნდა გადადგას და შეასრულოს სავალუტო ფონდის რეკომენდაციები.

– ეროვნულმა ბანკმა, კონკრეტულად, რა რეკომენდაციები უნდა შეასრულოს?

– ეროვნულმა ბანკმა უნდა შეასრულოს რეკომენდაციები, რომლებიც გულისხმობს ჭარბვალიანობის პრობლემის მოგვარებას. ჭარბვალიანობის პრობლემის მოგვარება განაპირობებს კურსის სტაბილიზაციას. თუ სამეწარმეო სექტორს უფრო მეტად არ გაეხსნა დაკრედიტება, სახელმწიფო სექტორის მხრიდან იმ რეკომენდაციების შესაბამისად, რომელიც მიღებულია ეროვნული ბანკის მიერ, სამოქალაქო სექტორის დაფინანსება არ შეიზღუდა და არ დაექვემდებარა ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ რეგულაციებს, პრობლემა არ მოიხსნება. ასევე, თუ იმ სესხების მიმართ, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას, წარმოების პროცესს და უკავშირდება მოხმარებას (იმპორტული პროდუქციიდან), ყურადღება არ იქნა გამახვილებული, სავალუტო ფონდის რეკომენდაციის შესაბამისად, არსებული პრობლემები ვერ გადაწყდება. არამიზნობრივი სესხები რაც შეიძლება მეტად უნდა შეზღუდოს.

დიდ პრობლემად რჩება ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის სიჭარბე. საქართველოში 700 ათას კაცს აქვს ვალი. შესაბამისად, ეს პრობლემა უნდა მოვაგვაროთ. ამიტომ მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს წარმოების წახალისებაზე და ნაკლები აქცენტი – მოსახლეობის ვალის დამძიმებაზე.

თუ შესრულდება სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, ლარის პერიოდულ ამოვარდნასა და მკვეთრ გაუფასურებას თავიდან ავიცილებთ. სტაბილურობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია, ბიზნესსექტორმა მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები და სწრაფად მიხედონ ეკონომიკურ ზრდას.

– ლარის გაუფასურების მიზეზად პარტიები და ექსპერტები სხვადასხვა ფაქტორს ასახელებდნენ, მათ შორის, არჩევნებში გამოყენებულ დიდ ფულად რესურსს, არჩევნებში გამოყენებულ არადეკლარირებულ ფულს, კომერციული ბანკებისთვის ფულის მიცემასა და ბიუჯეტის 400-ლარიან გარღვევას. თქვენ რას იტყვით ამაზე?

– ეს არის ტყუილი. არასწორი ინფორმაციაა. სავალუტო ფონდმა გააკეთა დასკვნა. ფისკალური პოლიტიკა, სახელმწიფო პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა არის სწორი და ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი საქართველოში. არცერთი შენიშვნა მას არ ჰქონია. ის მხარს უჭერს მთავრობის მიერ წარმოდგენილ 2017-2018 წლების ფინანსურ გეგმასა და პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება. ყველა პარამეტრი გამოსწორებულია. ლარის პრობლემა არჩევნებს არანაირად არ უკავშირდება. ეს აბსურდული ბრალდებაა. ფული წინასაარჩევნოდ იხარჯება, თუ იხარჯება, მაგრამ წინასაარჩევნოდ ლარის გაუფასურება არ მოხდა. ეს მიზეზები არავითარ კავშირში არ არის ლარის კურსთან. ამ კუთხით მიმოქცევაში გასული ლარი იმდენად მცირეა, რომ ლარის კურსზე გავლენა არ აქვს.

– ბიუჯეტის 400-მილიონიან გარღვევას?

– ბიუჯეტი მაღალ დონეზეა შესრულებული. ხარჯების განაწილება ძალიან თანაბარია. გეგმა მაღალ დონეზეა შესრულებული. ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ არის. ეს დაადასტურა სავალუტო ფონდმა. ის მხარს უჭერს წარმოდგენილ გეგმას.

მსოფლიოს პირუთვნელი მსაჯულები, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი იბიარდი – ყველა ცალსახად აცხადებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა არის სწორი. აქ ხარვეზი არ არის. შესაბამისად, ჩვენ ის ხარვეზი უნდა გამოვასწოროთ, რომელიც არის და მიზეზი სხვაგან ვეძებოთ. არის რეკომენდაციები, რომლებიც უნდა შევასრულოთ. ბევრი რეკომენდაცია შესრულდა, მაგრამ დარჩენილია რეკომენდაციები, რომლებიც ჭარბვალიანობის პრობლემას აგვარებს. როდესაც მოგვარდება ჭარბვალიანობის პრობლემა, ლარზე ზეწოლა მოიხსნება და მეოთხე კვარტალში აღარ იქნება ლარის გაუფასურების საშიშროება.

– ჭარბვალიანობაში რას გულისხმობთ და როგორ წარმოიშობა?

– ვგულისხმობ არამიზნობრივ და არასაქმიან სესხებს. სავალუტო ფონდი ჯერ კიდევ 2013 წელს ამბობდა, რომ საქართველოში ბანკების სესხების მქონე პირები თავიანთი შემოსავლის ნახევარს იხდიდნენ ბანკის ვალების დაფარვისთვის. სესხების დაფარვის მაჩვენებელი პირის შემოსავლის 30% უნდა იყოს. თუ პირს აქვს 1000 ლარი შემოსავალი, ბანკის ვალის მომსახურებისთვის 300 ლარზე მეტს არ უნდა იხდიდეს, ისე უნდა იყოს სესხის გრაფიკი დადგენილი. როცა ეს გრაფიკი მოწესრიგებული იქნება და ეროვნული ბანკის მხრიდან იმპერატიულად იქნება დადგენილი წესები, ჭარბი ვალი მოსახლეობაში არ წარმოიშობა. უფრო მეტი საშუალება ექნება ადამიანს, ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობებით აიღოს სესხი, ვიდრე ძვირადღირებული ფუფუნების საგნების შესაძენად.

– ბატონო მიხეილ, ლარის გაუფასურების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებდნენ ასევე ეროვნული ბანკიდან კერძო ბანკებისთვის 500 მილიონის გაცემას, კომერციულ ბანკებს მოზიდული დეპოზიტების 10% ბანკებს მთავრობიდან აქვთო.

– არ შეიძლება ასეთი დაპირისპირება და არასწორი მოქმედება. როცა შემოვიდა შემოსავალი, გადააჭარბა ხარჯებს და წარმოიშვა ნაშთი, არ შეიძლება ფულის ანგარიშზე გაჩერება. კომერციული ბანკებისთვის სესხის მიცემით სახელმწიფო სარგებელს იღებს. ეს სავალუტო ფონდთან არის შეთანხმებული. როცა ლარი ჭარბად შემოდის, ის თანხა უნდა გაიცეს და სახელმწიფომ უნდა მიიღოს სარგებელი.

ეს არის აბსოლუტურად ნორმალური პროცესი. თუ ბანკს უნდა ფულის აღება, ურჩევნია, ეროვნული ბანკიდან აიღოს ფინანსური სახსრები. ასე უკეთესია, სახელმწიფო იღებს მოგებას, ბიუჯეტი იღებს პროცენტს.

– მახსოვს, ლარის დიდი გაუფასურების დროს თქვენ საუბრობდით კომერციული ბანკების მიერ განხორციელებულ დიდ ტრანზაქციებზე, რომელიც გავლენას ახდენდა ლარის სტაბილურობაზე. ახლაც ითქვა ეს მიზეზი, რომ ერთ-ერთმა ბანკმა განახორციელა დიდი ტრანზაქცია.

– ეს საკითხი გამოკვლეული არ არის. ამიტომ ამ მიმართულებით ვერაფერს გეტყვით. ჭარბვალიანობის პრობლემის მოგვარება ლარის სტაბილურობის განმსაზღვრელია.

– ისე, ბანკებს მსხვილი ტრანზაქციების განხორციელება ეკრძალებათ?

– არ ეკრძალებათ.

– რაიმე კრიტერიუმები არის დადგენილი მსხვილი ტრანზაქციების განხორციელებისას?

– მსხვილი ტრანზაქცია უნდა ექცეოდეს გარკვეულ რეგულაციაში.

– ახლანდელი ეროვნული ბანკი რატომ ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს?

– მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ფონდის ბევრი რეკომენდაცია გაითვალისწინა, არის კიდევ რეკომენდაციები, რომლებიც ჭარბვალიანობას უკავშირდება და ბანკის ხელმძღვანელობამ თავის მუშაობაში უნდა გაითვალისწინოს. როცა ეროვნული ბანკი ყველა რეკომენდაციას შეასრულებს, პრობლემებიც მოიხსნება.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ხომ გამოიცვალა. რატომ არ ითვალისწინებს ახალი პრეზიდენტი რეკომენდაციებს?

– არსებობს რეკომენდაცია, რომელიც უნდა შესრულდეს. იმედი მაქვს, ახლანდელი ხელმძღვანელი არსებულ პრობლემას თავს გაართმევს. უფრო სწრაფი მოქმედებები და იმ რეკომენდაციების შესრულებაა საჭირო, რომლებიც სავალუტო ფონდმა გასცა. ბევრი რეკომენდაცია გაითვალისწინა. ველოდები, დარჩენილ რეკომენდაციებსაც გაითვალისწინებს და ლარს პრობლემები მოეხსნება.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტს პარლამენტში იბარებენ. შესაძლებლობა რომ გქონდეთ, რა კითხვას დაუსვამდით?

– რაც გითხარით სავალუტო ფონდის რეკომენდაციებთან დაკავშირებით, იმავეს ვეტყოდი.

CO-თი ინტოქსიკაციით 3 წელიწადში 82 ადამიანი დაიღუპა

თბილისის მერიის ცნობით, დედაქალაქის მერია და კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ერთობლივ სოციალურ კამპანიას – „მეტი უსაფრთხოებისთვის“ იწყებს. ამის შესახებ გუშინ თბილისის მერიაში პრესკონფერენცია გაიმართა.

როგორც დედაქალაქის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანმა განაცხადა, სამწუხაროდ, ზამთრის სეზონზე ხშირია მოსახლეობის CO-თი ინტოქსიკაციის შემთხვევები, რასაც გარდაცვალების ფაქტები მოჰყვება:

– სწორედ ამიტომ, 24 საათის განმავლობაში, სრულიად უფასოდ, კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ თანამშრომლები დედაქალაქის მოსახლეობას მოემსახურებიან: შეუმოწმებენ გამათბობლებსა და წყლის გამცხელებლებს, ასევე, გაუწევენ შესაბამის კონსულტაციებს, რაც ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

კომპანიის მთავარმა ინჟინერმა გიორგი ლეფსვერიძემ კი სოციალური კამპანიის დეტალებზე ისაუბრა და მოსახლეობას კონკრეტული რეკომენდაციების დაცვა სთხოვა. მისი თქმით, ბოლო სამი წლის განმავლობაში CO-თი ინტოქსიკაციის შედეგად 82 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ინტოქსიკაცია დაახლოებით 350-მა მოქალაქემ მიიღო. გასულ წელს CO-თი ინტოქსიკაციის რიცხვმა 125-ს მიაღწია, რომელთაგან 29 ადამიანი გარდაიცვალა.

– ამ ყველაფრის პრევენციის მიზნით „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ დაიწყო კამპანია – „მეტი უსაფრთხოებისთვის“. სამწუხაროდ, აბონენტთა 40% ჩვენი თანამშრომლების მითითებებს ყურად არ იღებს და არასწორად დამონტაჟებული გაზის დანადგარების მოხმარებას განაგრძობს. ესენია ღია წვის კამერიანი დანადგარები, რომელსაც ჩვენ კატეგორიულად ვკრძალავთ, – აღნიშნა გიორგი ლეფსვერიძემ.

კომპანიის მთავარმა ინჟინერმა მოქალაქეებს მოუწოდა, ნებისმიერი დანადგარის შეძენისა და მონტაჟის შემთხვევაში კომპანიის ცხელ ხაზზე – 2 40 40 04 ან საავარიო სამსახურის ნომერ 114-ზე დარეკონ.

– ჩვენი თანამშრომლები ადგილზე უმოკლეს ვადაში მივლენ, მისცემენ შესაბამის მითითებებს და შესაბამის ინსტრუქტაჟს ჩაუტარებენ. მინდა მოვუწოდო ყველა მოქალაქეს, რომელიც ბინას ქირაობს, დაგვირეკოს და შეგვამოწმებინოს ბინაში არსებული გაზის დანადგარები. ჩვენი თანამშრომლები კვირაში შვიდი დღე, 24 საათის განმავლობაში, დადიან და მობინადრეებს ამოწმებენ. მინდა მოვუწოდო ჩვენს აბონენტებს, რომ გაითვალისწინონ კომპანიის მითითებები, – განაცხადა „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მთავარმა ინჟინერმა და მოსახლეობას სიფრთხილისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პროვაიდერთა მოწვევა

BP Exploration (Caspian Sea) Ltd - საქართველო იწვევს შესაფერის კომპანიებს ინტერესის გამოსახატად BP-ის თბილისის ოფისის კვებით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევაში. ქვემოთ მოცემულია ფასების შეთავაზების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა:

- კვებით უზრუნველყოფა – ცხელი ლანჩი (200-250 პორცია დღეში) და შეფუთული ლანჩი (10-15 პორცია დღეში, საღამოობით)
- წყლის მოწოდების უზრუნველყოფა
- მესამე მხარეებისგან შესყიდვა, მაგ. დანა-ჩანგლის, თეფშების და სამზარეულო ტექნიკისა, ოფისის სასადილოსთვის
- სასმელის პუნქტებით უზრუნველყოფა დაახლოებით 250 თანამშრომელზე, ჩაის ჩამომსხმელი ქალბატონების მიერ მომსახურების გაწევის ჩათვლით
- BP-ის ოფისისთვის საკვები უნდა მომზადდეს ფასის წარმდგენის შენობაში და მოხდეს ტრანსპორტირება იზოლირებული სატრანსპორტო საშუალებით, ჰიგიენის წესების და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვაწოდონ საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი შემდეგ ელ-ფოსტაზე: lomam0@bp.com ან კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის 24, მაკა ლომაძეს, PSCM კატეგორიის სპეციალისტს.

წარდგენის ვადა: 2017 წლის 1 დეკემბერი.

„სასაკლაოზე დასაკლავი საქონელი აღარ შემოდის“

საქართველოში ხორცის წარმოება შემცირდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წლის მესამე კვარტალში საქართველოში 8.480,8 ტონა ხორცი იქნა წარმოებული, რაც 1.000 ტონით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2016 წლის მესამე კვარტალში სულ 9.486,4 ტონა ხორცის წარმოება მოხდა. შესაბამისად, ქვეყანაში საქონლის ხორცის დეფიციტია და რამდენიმე სასაკლაომ ფუნქციონირებაც უკვე შეწყვიტა. სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასაკლაოების რაოდენობა 80-დან 75-მდე შემცირდა.

საქონლის ხორცის დეფიციტსა და სასაკლაოების შესაძლო დახურვასთან დაკავშირებით „კომერსანტი“ არაერთხელ წერდა. ცხოველთა სასაკლაოების ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ, რომ ბიზნესის ეს მიმართულება წამგებიანი გახდა. „კომერსანტი“ რამდენიმე სასაკლაოს მფლობელთან შეეცადა, გაერკვია რა ძირითადი მიზეზების გამო მოხდა ხორცის წარმოების შემცირება. ერთი ნაწილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ მთავარი მიზეზი ე.წ. გარე დაკვლებია.

შპს „ბატადორის“ ხელმძღვანელი იოსებ კოხტაშვილი აღნიშნავს, რომ სასაკლაოში დაკვლები შემცირებულია.

– დასაკლავი საქონელი, ფაქტობრივად, არ შემოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ გარე დაკვლები ხდება. ქუჩაში რომ გაივლით, უამრავი ხორცი იყიდება, მაგრამ სად იკვლება, არავინ იცის. შეუმოწმებელი ხორცი მოსახლეობისთვის საზიანოა. სასაკლაოები სწორედ ამისთვის გავაკეთეთ, რომ ხარისხიანი ხორცი გვეწარმოებინა. გარკვეული თანხებიც ჩავდეთ, ახლა კი წარმოება, ფაქტობრივად, გაჩერდა. წლებია ამ საქმეს ვემსახურები და სანამ ცოცხალი ვარ, თავს არ დავანებებ. თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, სასაკლაოების დიდი ნაწილი დაიხურება, ხალხი უმუშევარი დარჩება, – განაცხადა კოხტაშვილმა.

მოსაზრებას, რომ ხორცის წარმოების შემცირება შესაძლოა საქონლის ექსპორტზე გატანის ხარჯზე ხდება, იოსებ კოხტაშვილი არ იზიარებს: „ექსპორტზე გატანაში ცუდს ვერაფერს ვხედავ და არა მგონია, რომ ხორცის წარმოებას ეს ამცირებდეს. რაც მეტი გავა, კარგია. ისეთ ფასს იხდიან ცოცხალ საქონელში, რომ ჩვენთან დაკლულს არ აქვს ამ მოცულობის ფასი.“

მისივე თქმით, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ კვლავწარმოება წახალისდეს და გლეხმა საქონელი იყოლიოს: „საგარეჯოში კვლავწარმოება, ფაქტობრივად, არ გვაქვს. ხალხს აღარ აინტერესებს საქონლის ყოლა, კვლავწარმოება. ხელისუფლებას ვურჩევ, რომ გარე დაკვლებს მიხედონ. გლეხს კი კვლავწარმოებაში ხელი შეუწყონ. ქვეყანა საქონლით უნდა გაივსოს.“

მარნეულში მდებარე შპს „ალალი 2015“-ის მფლობელი ლევან ხაღულაშვილიც აცხადებს, რომ ხორცის წარმოების მიზეზი გარე დაკვლების გახშირებაა.

– ჩემი აზრით, საქონელი ექსპორტზე იმდენი რაოდენობით ვეღარ გადის, როგორც გადიოდა და არ მგონია, რომ ხორცის წარმოება ამის გამო შემცირებულიყო. ეს აღბათ, უფრო იმიტომ არის, რომ გარე დაკვლები მომრავლდა.

მე თუ ჩემს სასაკლაოში დღეში სამ საქონელს დავკლავ, ხუთს ან შვიდს გარეთ კლავენ. ამას არავინ აღრიცხავს. თვის განმავლობაში საშუალოდ 100 პირუტყვს ვკლავ. შარშანდელთან შედარებით ეს მაჩვენებელი შემცირებული არ არის. სასაკლაოს გარეთ დაკვლა ადრეც ხდებოდა და ახლაც, მით უმეტეს, ამ მხარეში – აზერბაიჯანელი ხუთჯერაც რომ დააჯარიმო, მაინც სახლში დაკლავს, – განაცხადა ხაღულაშვილმა.

განსხვავებული მოსაზრება აქვს თელავში მდებარე სასაკლაოს შპს „ქართული ხორცის პროდუქტების“ ხელმძღვანელს. როგორც სანდრო მეგუთნიშვილი აღნიშნავს, ხორცის წარმოების შემცირების მიზეზი არა გარე დაკვლები, არამედ ექსპორტზე ცოცხალი საქონლის გაყვანაა.

– პირველ რიგში, ხორცის წარმოების შემცირების მიზეზი არის ეკონომიკური სიდუხჭირე, მეორე ის, რომ მსხვილფეხა საქონელი ექსპორტზე გადის. სასაკლაოების ბიზნესი მომგებიანი აღარ არის. ვიცი, რომ ზოგი სასაკლაო დაიკეტა კიდეც.

ჩვენთან არაფერი შეცვლილა, საწუწუნო არ გვაქვს და მუშაობას ვაგრძელებთ. თუმცა მთლიანობაში სიტუაციამ მოიტანა, რომ ხორცი გაძვირდა, ნაკლებად იყიდება. ბოლო პერიოდში მინიმუმ ოთხი ლარით მაინც გაძვირდა. ეს იმიტომ, რომ საქონლის შოვნა რთულია. რაც არის, ის ძირითადად ექსპორტზე გადის. რაც შეეხება გარე დაკვლებს, არც ისეთი დიდი რაოდენობით არ ხდება. ვიღაც ქორწილსა და დღესასწაულზე საქონელს თუ დაკლავს, თორემ სასაკლაოს მიღმა დაკვლები მინიმუმამდეა დაყვანილი.

* * *

წლების განმავლობაში საქართველოდან ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი არ ხორციელდებოდა. საქსტატის მონაცემებით, 2008 წელს ქვეყნიდან 584.4 ათასი დოლარის ღირებულების ცოცხალი საქონლის ექსპორტი განხორციელდა. ხოლო სამი წლის სტატისტიკა კი ასე გამოიყურება – 2015 წელს ცოცხალი მსხვილფეხა საქონლის ექსპორტმა 20,103.4 ათასი დოლარი შეადგინა, 2016 წელს – 36,841.6 ათას დოლარამდე გაიზარდა. 2017 წლის იანვარ-ოქტომბერში კი 32,404.5 ათასი დოლარის ღირებულების მსხვილფეხა ცოცხალი საქონელი გავიდა ქვეყნიდან.

სურსათის ეროვნული სამსახურის ანგარიშის მიხედვით, საქართველოდან მსხვილფეხა საქონლის ექსპორტი აზერბაიჯანში, ეგვიპტეში, ერაყში, საუდის არაბეთსა და სირიაში ხორციელდება.

თვითმავალი სატვირთო ავტომანქანები სამუშაო ადგილებს წელიწადში 300.000-ით შეამცირებენ

სილიკონ ველიზე არსებული სტარტაპები, ტექნოლოგიებზე მომუშავე ადამიანები და ვენჩურული კაპიტალისტები თვითმავალ სატვირთო ავტომობილებში დიდ პოტენციალს ხედავენ.

აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო აქტუალური მას შემდეგ გახდა,

რაც თესლა-ს გენერალურმა დირექტორმა, ელონ მასკმა ახალი თვითმავალი სატვირთო ელექტრომობილი წარადგინა.

მასკის განცხადებით, სატვირთო ავტომობილს, მისაბმელის გარეშე, 0-დან 100 კმ.სთ-მდე აჩქარება 5 წამში შეუძლია. ასევე აღსანიშნავია, რომ ელემენტის დატენვის შემდეგ ავტომობილი 800 კმ-ს ფარავს.

სატვირთო ავტომობილები მსოფლიოს ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ, ვინაიდან სწორედ მათზეა დამოკიდებული საქონლის დანიშნულ დროზე გადატანა – ორ პუნქტს შორის მანძილი კი, შესაძლოა, რამდენიმე ქვეყანაზე გადიოდეს.

კომპანიები, რომლებიც ლოგისტიკაში დიდი ოდენობის ინვესტიციას ახორციელებენ, თვითმავალ სატვირთო ავტომობილებში ხარჯების შემცირებისა და დროის ოპტიმიზაციის პერსპექტივას ხედავენ – მათ აღარ მოუწევთ ავტომობილების მძღოლებისთვის ხელფასის გადახდა და ამასთან, სატვირთო ავტომობილები გზაზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში იქნებიან (მძღოლს არ დასჭირდება დასვენება, ძილი და ა.შ.)

კომპანიებს ასევე სწამთ, რომ გზებზე მეტი თვითმავალი ავტომობილის გამოჩენა ავარიების რიცხვს მნიშვნელოვნად შეამცირებს – შესაბამისად, ავტომობილების შესაკეთებლადაც ნაკლები თანხის გამოყოფა იქნება საჭირო. მიზეზი მარტივია – თვითმავალი ავტომობილები საგზაო წესებს არასოდეს დაარღვევენ, არ გადააჭარბებენ დაშვებული სიჩქარის ნორმას, არ გადავლენ საპირისპირო ზოლში და ა.შ.

თვითმავალი ავტომობილების ტექნოლოგია გაცილებით მარტივად ადაპტირებადია სატვირთო ავტომობილებში – ისინი ძირითადად ღია, სწორ გზატკეცილებზე გადაადგილდებიან. თვითმავალი ავტომობილებისთვის გაცილებით უფრო რთული ვითარებაა ქალაქის ქუჩებში, სადაც მეტი ადამიანი გადაადგილდება და საგზაო წესების დარღვევაც ხშირად ხდება, რაზე რეაგირებაც შესაძლოა თვითმავალმა ავტომობილმა ვერ შეძლოს.

დაახლოებით 25 წელიწადში, ყოველწლიურად სატვირთო ავტომობილებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა 300.000-ით შემცირდება. აღნიშნული დრო შესაძლოა კიდევ უფრო მეტად შემცირდეს, თუკი არსებული ტექნოლოგიები კიდევ უფრო ინოვაციური გახდება და თუკი საკანონმდებლო წინაღობები დაძლევადი გახდება.

აზარტული თამაშები: რატომ დასჭირდა კანონპროექტის მომზადებას 5 წელი?

აზარტული თამაშების რეგულაციებზე ხელისუფლება უკვე 5 წელია საუბრობს, თუმცა დღემდე კანონპროექტის შემუშავება არ მომხდარა. კანონპროექტზე მუშაობა მხოლოდ ცოტა ხნის წინ დასრულდა და როგორც საკანონმდებლო ინიციატივაზე მომუშავე ჯგუფის წევრები აცხადებენ, ამჯერად კანონში ცვლილებები აუცილებლად განხორციელდება.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების პრობლემა ქვეყანაში უკვე წლებია მწვავედ დგას. მათ შორის, არასრულწლოვნების, რომლებიც ონლაინ თამაშებში შეზღუდვების გარეშე რეგისტრირდებიან. კანონმდებლობის შეცვლას უკვე წლებია ითხოვენ საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი, ხელისუფლებაც თვლის, რომ აუცილებელია, აზარტულ თამაშებზე უფრო მკაცრი შეზღუდვები დაწესდეს.

საქართველოში სათამაშო ბიზნესის შესაბამისი კანონმდებლობით დარეგულირება ჯერ კიდევ 2005 წლიდან დაიწყო. მოგვიანებით, 2012 წელს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანაზე აქტიურად დაიწყო საუბარი. მათ შორის, მერვე მოწვევის პარლამენტში აღნიშნული საკითხი არაერთხელ იდგა დღის წესრიგში, თუმცა პროექტის მომზადება ვერ მოხდა.

ერთადერთი, ვინც ბოლო 5 წლის განმავლობაში პარლამენტში აზარტულ თამაშების აკრძალვაზე კანონპროექტი შეიტანა, დეპუტატი კობა დავითაშვილი იყო.

2013 წელს ის გამოვიდა ინიციატივით, რომ აზარტული თამაშების რეკლამირების სრულად აკრძალვა მომხდარიყო, რასაც პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა. კანონპროექტის მოწინააღმდეგეები არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ მმართველი პარტიის დეპუტატებიც იყვნენ. როგორც მაშინ განმარტავდნენ, კანონპროექტი არ იყო სრულყოფილი და რეკლამირების აკრძალვა ბიზნესს დააზარალებდა. მოგვიანებით აზარტული თამაშების სრულ აკრძალვასთან დაკავშირებით კომენტარი მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმაც გააკეთა, ბიძინა ივანიშვილმა განმარტა, რომ კაზინოებს დახურვა არ ემუქრება.

უკვე 2016 წელს, კანონში რეგულაციების შეტანასა და კანონპროექტის მომზადებასთან დაკავშირებით საუბარი კვლავ დაიწყო. ამჯერად ინიციატორი ფინანსთა სამინისტროა, სადაც სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის სამმართველო უკვე მუშაობს. შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფიც, პარლამენტის წევრებითა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული.

კანონპროექტმა საბოლოო სახე უკვე მიიღო და რამდენიმე კვირის წინ მისი პარლამენტში ინიცირებაც მოხდა. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში უახლოეს პერიოდში განხილვებიც დაიწყება. უცნობია, ამჯერად თუ დაუჭერს მხარს პარლამენტი კანონში შესატან ცვლილებებს და 5 წლის შემდეგ მაინც თუ მოხერხდება კანონის ახლებური რედაქციით მიღება.

ერთ-ერთი მთავარი ცვლილება, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივის დონეზეა, არის ის, რომ აზარტული თამაშები 18-ის ნაცვლად, დაშვებული იქნება 21 წლიდან. გარდა ამისა, რეგისტრაციისთვის, შესაძლოა, სათამაშო ობიექტზე მისვლა გახდეს სავალდებულო, სადაც ადგილზე შეამოწმებენ, აქვს თუ არა მოქალაქეს თამაშის უფლება. ამასთან, შეიძლება შეიქმნას აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ მოქალაქეთა სია. ამ სიაში მოხვედრის შემთხვევაში პირს სამორინეებსა და ონლაინ აზარტულ თამაშებში მონაწილეობის უფლება შეეზღუდება.

რამდენიმე დღის წინ, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში აზარტული თამაშების თემაზე შეხვედრა გაიმართა. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილმა განაცხადა, რომ კანონპროექტზე მუშაობა გაგრძელდება და შესაძლებელია მასში მოხდეს ნებისმიერი წინადადების გაზიარება.

– აზარტული თამაშების თემაზე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები, ასევე საზოგადოების წევრები და ეკლესიაც თავის წვლილს შეიტანს ამაში, – განაცხადა მამა ანდრია ჯაღმაიძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

როგორც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, სამუშაო ჯგუფმა, რომლის წევრიც თავად არის, საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობა უკვე დაასრულა.

– კანონპროექტი უკვე პარლამენტშია ინიცირებული. მე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი, მის განხილვებში აქტიურად ვიქნები ჩართული. ყველა მწვავე საკითხი განვიხილეთ, მათ შორის, აზარტულ თამაშებში ჩართვა 18-ის ნაცვლად, 21 წლიდან რომ იყოს დასაშვები. მომავალში უკვე პარლამენტში განხილვები რომ დაიწყება, კანონპროექტის დეტალური ანალიზი მოხდება.

აღნიშნული კანონპროექტი არის დაბალანსებული. მისი მიღების შემთხვევაში, არც ბიზნესი დაზარალდება და არც ასეთი სოციალური პრობლემები გვექნება, რომლებიც აზარტულ თამაშებში ბავშვების ჩართულობის გამო გვაქვს, – აღნიშნავს ბერაია.

ონლაინ-კაზინოების სრული აკრძალვის საკითხი კვლავ ბუნდოვნად რჩება. როგორც ბერაია აღნიშნავს, ეს არის ერთადერთი საკითხი, რომელზეც სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხილვები არ ყოფილა. მისი აზრით, სრული აკრძალვა არასწორი და არაეფექტური იქნება.

– ონლაინ აზარტული თამაშების მიმართ მსოფლიო პრაქტიკაში სამი სახის მიდგომა არსებობს – აკრძალვა, მონოპოლია და რეგულირება. როგორც წესი, რეგულირებამ სხვადასხვა ქვეყნებში ყველაზე მეტად გაამართლა. აკრძალვა რთული საკითხია, რადგან ასეთ შემთხვევაში ინტერნეტზე წვდომაც უნდა აკრძალო. თანაც ჩემი აზრით, აკრძალვა სწორი მიდგომა არ იქნება. ამან ზოგიერთ ქვეყანაში ვერ გაამართლა. ჩვენ მესამე ვარიანტი ავარჩიეთ, თუმცა საბოლოოდ განხილვების გამართვის შემდეგ გადაწყდება, როგორ კანონპროექტს შევიმუშავებთ. აკრძალვის შემთხვევაში, აზარტული თამაშები ქუჩაში გადაინაცვლებს. ეს გაზრდის კრიმინალს, პატიმრების რაოდენობას. ჩვენი მიზანი არ არის, რომ ციხეში მეტი ადამიანი იჯდეს, – აცხადებს დეპუტატი.

კითხვაზე, რეგულაციების დაწესებას თუ ექნება მსგავსი უკუეფექტი, როგორიც სრული აკრძალვის შემთხვევაში იქნებოდა, ბერაია პასუხობს, რომ მსგავსი უკუეფექტი არ იქნება:

– ვერც ერთი კანონპროექტი ვერ იქნება აბსოლუტური პრევენცია, თუმცა აქ მასშტაბებზეა საუბარი. შეიძლება ქუჩაში თამაში ახლაც ხდება, მაგრამ ეს არის ძალიან მცირე მასშტაბით. სრული აკრძალვების შემთხვევაში, ეს მასშტაბი გაიზრდება, რაც არ გვინდა.

კითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა ზღვრის უფრო მეტად აწევა, ირაკლი ბერაიას შეფასებით, ეს ზღვარი რელევანტურია:

– თავიდან 18 წლამდე აკრძალვის თემა განიხილებოდა. შემდეგ ფსიქოლოგების რეკომენდაცია იყო, რომ ზღვარი 21 წლამდე გაზრდილიყო. არსებობს მოსაზრებები, რომ შეიძლება 25 წლამდე გაზრდაც, თუმცა 21 წელი სავსებით საკმარისია.

რა გახდა ბათუმში 24 წლის ქალის გარდაცვალების მიზეზი?

ბათუმში, ე.წ. ბენზეს დასახლებაში, 24 წლის ქალის გარდაცვალების საქმეს შს სამინისტრო თვითმკვლელობის მუხლით სწავლობს, თუმცა ამ ვერსიას გამორიცხავენ მეზობლები.

მათი განცხადებით, გოგონა სახლში მამიდასთან ერთად ცხოვრობდა, თუმცა ბოლო დღეები მარტო იყო.

მეზობლები ყვებიან, რომ გარდაცვლილის საცხოვრებლიდან მეზობლის ბინაში წყალი ჩავიდა, რის შემდეგაც მეზობლებმა გოგონასთან დარეკეს და კარზეც დაუკაკუნეს. მან არც ტელეფონის ზარებს უპასუხა და არც კარი გააღო, რის გამოც სამაშველო სამსახური გამოიძახეს.

სამაშველოს წარმომადგენლებს გოგონა გარდაცვლილი დახვდათ.

– თვითმკვლელობის ვერსიის არ გვჯერა, გამორიცხულია, ეს გოგო თავს არ მოიკლავდა, – ამბობს მეზობელი.

ავარიას თემქაზე ორი არასრულწლოვანი ემსხვერპლა

თემქაზე გუშინ ავარია მოხდა – ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა. ავარიის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ბავშვების გადარჩენა ვერ მოხერხდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ნატანებში გატაცებული სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან 3.952 ლარია წაღებული

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში არსებული საზოგადოებრივი ცენტრიდან გატაცებული „ლიბერთი ბანკის“ კუთვნილი სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან 3.952 ლარია წაღებული.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, რომელიც საზოგადოებრივი ცენტრის შესასვლელთან იდგა, შაბათს, გვიან ღამით, გამოძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს. მათ აპარატი გვერდით მდებარე სპორტდარბაზში დაამტვრიეს და თანხა წაიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის შესასვლელში რამდენიმე ვიდეოთვალია დამონტაჟებული, პოლიციამ ბოროტმოქმედების კვალს ჯერჯერობით ვერ მიაგნო.

დაწყებულია გამოძიება სსკ 177-ე მუხლით, რაც ქურდობას გულისხმობს.

კოკა კაციტაძე: „ბრალდებულები მზად არიან, დაასახელონ ის პირები, რომლებმაც პატიმრების დამცირების დავალება მისცეს“

პროკურატურის ინფორმაციით, პატიმრების მიმართ დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებულები მზად არიან, დანაშაულებრივი ბრძანების გამცემები დაასახელონ.

ამის შესახებ პროკურორმა კოკა კაციტაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, სასჯელაღსრულების მერვე და მეექვსე დაწესებულების ყოფილი თანამშრომლები გამოძიებასთან თანამშრომლობაზე მზადყოფნას გამოთქვამენ.

– ეს ადამიანები არიან რიგითი თანამშრომლები და დავალებებს ალბათ პენიტენციარული დაწესებულების თანამდებობის პირებისგან იღებდნენ. გამოძიება ალბათ გავა ციხის დირექტორების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების უფრო მაღალი თანამდებობის პირებზე, – განაცხადა კაციტაძემ.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა პატიმართა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გლდანის №8 დაწესებულებისა და რუსთავის №6 დაწესებულების ხუთი ყოფილი თანამშრომელი დააკავეს.

ამის შესახებ კოკა კაციტაძემ განაცხადა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2011-2012 წლებში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების თანამშრომლები ლ.ბ. და დ.ხ., დასჯისა და დაშინების მიზნით პატიმრებს უსწორდებოდნენ ფიზიკურად და აყენებდნენ ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში.

ქალის შეურაცხყოფისთვის დაკავებული ახალგაზრდები 100-100 ლარით დააჯარიმეს

დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ქალის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე დაკავებულ 2 ახალგაზრდა მამაკაცს თბილისის საქალაქო სასამართლომ 100-ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს მოქალაქემ სოციალურ ქსელში ვიდეო განათავსა და აღნიშნა, რომ აღნიშნულმა პირებმა მას ავტომობილიდან შეურაცხმყოფელი სიტყვები მიაძახეს.

ქალის მიერ გადაღებულ ვიდეოში ახალგაზრდა კაცები აგრძელებენ მის შეურაცხყოფას. კადრებში, ასევე, ჩანს, თუ როგორ აყენებს ერთ-ერთი ახალგაზრდა პოლიციას შეურაცხყოფას.

შსს-ს ინფორმაციით, ვიდეომასალების გაცნობის შემდეგ სამართალდამცველებმა ორივე ახალგაზრდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დააკავეს, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

შსს-მ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ლენტეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული თ.ო. დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშის მიმდებარე ტერიტორიაზე თ.ო.-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღეს: „აკს“-ის და „აკმ“-ის მოდელების 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 6 მჭიდი, 145 საბრძოლო ვაზნა, „საიგას“ მოდელის და „სვდ“-ს ტიპის 2 შაშხანა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

„ინტერტრანსის“ ოფისიდან 30 ათასი ლარი მოიპარეს

რუსთავში კომპანია „ინტერტრანსის“ ოფისი გაქურდეს. როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში კომპანიის წარმომადგენელმა სოფო ცერცვაძემ განაცხადა, ოფისის სალაროდან 30 ათასი ლარის ოდენობის თანხაა წაღებული.

– ქურდობა, სავარაუდოდ, გვიან ღამით მოხდა. ადგილზე გამოძახებული იყვნენ სამართალდამცავები და ექსპერტ-კრიმინალისტების ჯგუფი, – აღნიშნა სოფო ცერცვაძემ. მისივე თქმით, ოფისიდან მხოლოდ თანხაა წაღებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლითაა აღძრული და მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები.

რუსთავში ლომბარდი გაძარცვეს

რუსთავში, თოდრიას ქუჩაზე, ლომბარდი გაძარცვეს.

წინასწარი ინფორმაციით, წაღებულია ფული და მობილური ტელეფონები.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით აღიძრა, რაც ძარცვას გულისხმობს.

10 წელი ნარკოტიკების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულ ნათია ქ.-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, სასჯელის სახედ და ზომად მას 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

– საქმის არსებითი განხილვის სხდომებზე ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ, თუმცა გამოკვლეული მტკიცებულებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულის მიერ 0.5018 გრამი ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი 62 აბის შეძენისა და შენახვის ფაქტი, – ნათქვამია საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

„გაისროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა“

შსს-მ თბილისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა. როგორც „ნიუპოსტს“ უწყებიდან აცნობეს, 1988 წელს დაბადებული პირი ზუგდიდში დააკავეს.

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და აფხაზეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული პ.დ. ყაჩაღობის ბრალდებით ზუგდიდში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 15 ნოემბერს თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბრალდებული ყაჩაღურად თავს დაესხა ვალუტის გადამცვლელ ჯიხურს, ტყვიაგადამტარი შუშის მიმართულებით ერთხელ გაისროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიება ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლითა და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

ნიგერიაში ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 50-მდე გაიზარდა



ნიგერიაში ქალაქ მუბიში მდებარე მეჩეთში განხორციელებული ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 50-მდე გაიზარდა. ამის შესახებ სააგენტო „ფრანს პრესი“ ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით იუწყება.

აფეთქება მუბის მეჩეთში მოხდა. 17 წლამდე ასაკის ბიჭი შაჰიდის ქამრით მეჩეთში სხვა მორწმუნეებთან ერთად შევიდა.

პოლიციის ინფორმაციით, დაშავებულები საავადმყოფოებში არიან გადაყვანილები.

ბელორუსში უკრაინული აგენტურული ქსელი გაანადგურეს

ბელორუსის ხელისუფლებამ უკრაინული აგენტურული ქსელის განადგურების თაობაზე გამოაცხადა.

ბელორუსები ირწმუნებიან, რომ მის სათავეში ბელორუსში უკრაინის საელჩოს მრჩეველი სკვორცოვი იდგა. დაპატიმრებულია უკრაინელი ჟურნალისტი პაველ შაროიკო, რომელიც მინსკში უკრაინის ნაციონალური რადიოს კორესპონდენტად მუშაობდა.

– შაროიკო გახლდათ უკრაინის სამხედრო დაზვერვის ოფიცერი, რომელიც ჟურნალისტის საფარქვეშ მოქმედი ჯაშუში იყო, – ამტკიცებენ ბელორუსი ჩეკისტები.

უკრაინის სამხედრო დაზვერვამ მომხდართან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ შაროიკო უკრაინის სამხედრო დაზვერვის პრესსამსახურში ლეონიდ კუჩმას პრეზიდენტობის ხანაში მუშაობდა. შემდეგ დაზვერვა დატოვა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო და მედიაში მუშაობდა. მისი უკანასკნელი თანამდებობა იყო უკრაინის ნაციონალური რადიოს კორესპონდენტის პოსტი მინსკში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბერლინში ეკლესიიდან თოჯინა-ზომბი მოიპარეს

ბერლინის პოლიცია ეძებს 25 სანტიმეტრის ქანდაკებას, რომელიც თოჯინა-ზომბის წარმოადგენს. ამის თაობაზე ინფორმაცია სამართალდამცავებმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე განათავსეს.

ქანდაკება სახელწოდებით „იდეალური ადამიანის მოლოდინი“, პოლიციის განცხადების თანახმად, ჯერ კიდევ ზაფხულში მოიპარეს. ის გამოფენის ექსპონატს წარმოადგენდა, რომელიც კროიცბერგის რაიონში მდებარე პროტესტანტულ ეკლესიაში იმართებოდა. ქანდაკება შესრულებულია ხის, მინის, ლითონისა და აკრილისგან. მისი ავტორია მარიონეტ სკურილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანგელა მერკელი ვადამდელი არჩევნების ჩასატარებლად მზადაა

როგორც ცნობილია, გერმანიაში მმართველი კოალიციის შექმნა ჩაიშალა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს რუსეთის სპეცსამსახურების აქტიური ჩარევის შედეგად მოხდა. ახალი კოალიციის შექმნა ძირითადად თავისუფალი დემოკრატების გამო ვერ მოხერხდა. ისინი კი რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების შესუსტებას, შემდეგ კი თანდათანობით გაუქმებას მოითხოვენ.

ასევე წარმატება არ მოჰყოლია მერკელის მოლაპარაკებებს გერმანიის სოციალ– დემოკრატებთან. ამ უკანასკნელთა ლიდერმა მარტინ შულცმა განაცხადა, რომ არსებულ ვითარებაში ქრისტიან-დემოკრატებთან ერთიანი კოალიციის შექმნა გამორიცხულია.

ამის შემდეგ მერკელი, რომელიც სადღეისოდ კანცლერის მოვალეობის შემსრულებელია, პრეზიდენტ შტაინმაიერს შეხვდა. საუბრის შემდეგ მერკელმა განაცხადა, რომ ვადამდელი არჩევნების ჩასატარებლად მზად არის.

– ვადამდელი არჩევნები შესაძლოა მომავალი წლის დასაწყისში ჩატარდეს, – თქვა მერკელმა.

სირიაში სამხედრო ოპერაცია მალე დასრულდება?

სოჭში რუსეთის პრეზიდენტი სირიის დიქტატორს ბაშარ ასადს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ პუტინმა განაცხადა, რომ მალე რუსეთი სირიაში თავის სამხედრო ოპერაციას დაასრულებს.

– რასაკვირველია, ტერორიზმის დამარცხებამდე ჯერ შორია, მაგრამ აშშ-სთან ერთობლივი ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ დასასრულს უახლოვდება, – თქვა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სამხედრო ოპერაციის დასრულებისთანავე სირიაში პოლიტიკური რეგულირების პროცესი უნდა დაიწყოს, ანუ ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები და ა.შ.

– ყოველივე გაეროს ეგიდით უნდა მოხდეს, – თქვა პუტინმა.

ექსპერტები ამას სკეპტიკურად უყურებენ. მართლაც, სირიაში შეტაკებები არ ცხრება, ასადის შეიარაღებულმა ძალებმა კასეტური ბომბები გამოიყენეს, რაც საერთაშორისო კანონმდებლობით სასტიკადაა აკრძალული.

– მანამ, სანამ ასადი ხელისუფლებაშია, ომი არ დამთავრდება, – თვლის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

თავად რუსეთში ანტისაომარი განწყობილებები იზრდება თვით პუტინის ელექტორატშიც. სირიაში სამხედრო ოპერაციის შეჩერებას უკვე 55% უჭერს მხარს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ილონ მასკს ქალებთან პრობლემები აქვს

კომპანია SpaceX-ის ხელმძღვანელმა ილონ მასკმა ჟურნალ ღოლლინგ შტონე-თვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ მსახიობ ემბერ ჰერდთან დაშორების გამო თავს უსიამოვნოდ გრძნობს.

ჟურნალისტმა ნილ შტრაუსმა სტატია მასკის შეხედულებებსა და გეგმებზე მოამზადა. როდესაც შტრაუსმა მას კითხვა ახალი ავტომობილის ტესლა მოდელ 3-ს თაობაზე დაუსვა, მასკმა ხანგრძლივი პაუზა აიღო და უპასუხა, რომ საყვარელ ქალთან დაშორებას განიცდიდა.

– მე მასზე ნამდვილად ვიყავი შეყვარებული და მასთან დაშორება ჩემთვის მეტად მტკივნეულია. გულახდილად ვამბობ, უფრო ის დამშორდა მე, ვიდრე მე მას, – განაცხადა მასკმა.

ამის შემდეგ ბიზნესმენმა ჟურნალისტს რჩევა სთხოვა, ღირდა თუ არა ახალი ურთიერთობის დაწყება, რაზეც შტრაუსმა უპასუხა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ჯერ გაერკვეოდა იმ მიზეზებში, რატომ დაშორდა ჯერ მწერალ ჟასტინ მასკს, შემდეგ მსახიობ ტალულოი რაილის და შემდეგ ემბერ ჰერდს.

მასკმა თავი გააქნია და შენიშნა, რომ ხანგრძლივი სერიოზული ურთიერთობის გარეშე ბედნიერი ვერ იქნებოდა.

– მკლავს ის, რომ მარტო ვწვები დასაძინებლად, შესანიშნავად ვიცი, თუ როგორია მარტო ყოფნა დიდ ცარიელ სახლში, გესმოდეს საკუთარი ნაბიჯების ექო, ჩაწვე ლოგინში, რომელშიც შენს გვერდით არავინაა, – განაცხადა მასკმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ქირავდება

● ქირავდება საკუთარი სახლის პირველი სართული, სამი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, ინტერნეტი – დიღომში, დავით აღმაშენებლის ძეგლთან ახლოს, თამარ მეფის ქუჩა 3. ფასი 550 ლარი. ტელ: 592-599-777.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ხესუს ვასკესი: „არც არაფერს ვამტკიცებთ და არც თავს ვიმართლებთ“

საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფება სასკი ბასკონიის გენერალური დირექტორი ხესუს ვასკესი. ამ უმსხვილეს ესპანურ კომპანიასთან საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას მჭიდრო საქმიანობა აკავშირებს და ვასკესის ეს ვიზიტიც ესპანურ-ქართული საკალათბურთო აკადემიის გახსნას უკავშირდება. მიმდინარეობს დეტალების დაზუსტება და სხვა საჭირო საკითხების შეჯერება.

კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბასკონიასა და ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება კიდევ ერთხელ გახდა მსჯელობის საგანი. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრის გეგმებში არ შედიოდა, სასკი ბასკონიის გენერალურმა დირექტორმა ქართველი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა, რათა ბოლო პერიოდში მას-მედიით გავრცელებული ინფორმაციის ფონზე განმარტება გაეკეთებინა.

ხესუს ვასკესი:

– არ ვაპირებთ არაფრის მტკიცებას ან თავის მართლებას. უბრალოდ, იმისთვის, რომ ყველასთვის ნათელი და გასაგები იყოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, გვინდა განვიხილოთ თუ რას გულისხმობს ჩვენს შორის დადებული შეთანხმება, რა განსაზღვრავს ჩვენს მოტივაციას და რა მიზნები თუ ამოცანები გვაქვს დასახული, რომელთაც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ვახორციელებთ. სანამ უშუალოდ ამ შეთანხმებაზე ვისაუბრებდე, ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ჩვენი კლუბის შესახებ.

ბასკონია:

– ჩვენ წარმოვადგენთ მსოფლიოში აღიარებულ კლუბს, რომელსაც ზურგს 60-წლიანი ისტორია უმაგრებს. ჩვენი გუნდი დაარსების წლიდანვე უმაღლეს საკლუბო დონეზე ასპარეზობს და არსებობის განმავლობაში 5-ჯერ უთამაშია ევროლიგის ოთხთა ფინალში, ხოლო ერთხელ – ფინალში. მიუხედავად წარმატებებისა, ჩვენი ინტერესი უფრო მიმართულია ახალგაზრდობისკენ. მრავალი წლის განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკისა და გამოცდილების წყალობით, ვამჯობინებთ, პერსპექტიული კალათბურთელები აღმოვაჩინოთ და ჩვენს კლუბს მომავალი თაობა ჩვენვე აღვუზარდოთ. ჩვენს საკალათბურთო სკოლას 20 წლის განმავლობაში გამოზრდილი ჰყავს მსოფლიო დონის ვარსკვლავები – ბასკონიის საკალათბურთო სკოლა გაიარეს ანდრეს ნოჩიონიმ, ლუის სკოლამ, ტიაგო სპლიტერმა, ხორხე გარბახოსამ, ნიკოლა მარსელომ და სხვა მრავალმა.

ტალანტების აღმოსაჩენად ჩვენი სკაუტები მთელი წლის განმავლობაში აკვირდებიან სხვადასხვა ქვეყანაში ახალგაზრდა კალათბურთელებს და მათგან განსაკუთრებული მონაცემებისა და პოტენციალის მქონეებს არჩევენ. შერჩეული ბავშვები ხვდებიან სტიპენდიანტების სიაში და მათზე ზრუნვას 12 პროფესიონალისგან შემდგარი გუნდი იწყებს, რომელშიც მწვრთნელებთან ერთად შედიან ექიმები, ფიზიოთერაპევტი, დიეტოლოგი, მეთოდოლოგი, ფსიქოლოგი.

საქართველოს ეროვნული კალათბურთის ფედერაციასთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, გაკეთდა გამონაკლისი და ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავებულ იქნა სამუშაო პროგრამა, რათა იმ ახალგაზრდა კალათბურთელებს, რომელნიც უშუალოდ ჩვენი კლუბის სკაუტების მიერ არ ყოფილან შერჩეულნი, მიეცათ ექსკლუზიური შესაძლებლობა, რომ ამ სამუშაო პროგრამაში ჩაერთონ.

ეს პროგრამა განხორციელდა ფონდ 5+11-ის ფარგლებში, რომელიც 2011 წელს დაარსდა. ანუ მაშინ, როდესაც კლუბმა შეიძინა საფეხბურთო გუნდი ალავესი და ერთ ფონდში გააერთიანა ალავესისა და ბასკონიის სასწავლო, სოციალური თუ სამუშაო პროგრამები.

– რატომ დაიდო ეს ხელშეკრულება?

– 4 წლის წინ ჩვენს კლუბში პირველად უნდა ეთამაშა ქართველ კალათბურთელს, რამაც განაპირობა ჩვენი შეხვედრა საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან. ჩვენი ურთიერთობის საფუძველზე, გამომდინარე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის იდეების გამჭვირვალობისა და პროფესიონალიზმისა, გადავწყვიტეთ, საქმიანი ურთიერთობები გაგვეღრმავებინა. ქართულ მხარეს ჰქონდა სურვილი, რომ მათ ქვეყანაში საკალათბურთო დონე გაზრდილიყო და მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ასეთი სახის საერთაშორისო პარტნიორი არ გვყოლია, გადავწყვიტეთ ისეთი სახის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაგვეფორმებინა, რომელიც ორივე მხარისთვის იქნებოდა ხელსაყრელი.

ძირითადი მიზანი, რომელიც ფედერაციის მხრიდან გამოითქვა, იყო ქართველი ახალგაზრდა კალათბურთელების პროფესიონალური დონის ამაღლება, რაც მომავალში საქართველოს ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებების წარმატებების საფუძველი იქნებოდა. ამისათვის დაიდო შემდეგი სახის ერთობლივი ხელშეკრულება, რომლის თანახმად სახელმწიფო ყოველწლიურად, 5 წლის მანძილზე აწარმოებდა 300.000 ევროს ინვესტიციას, რაც მთლიანად შეადგენს არა 2,5 მილიონს, როგორც ამას აჟღერებენ ნეგატიურად განწყობილი ადამიანები, არამედ – 1,5 მილიონს. დაიგეგმა, რომ ამ ინვესტიციის საშუალებით ქართველი ახალგაზრდა მოთამაშეებიც ჩაერთვებოდნენ ჩვენს მიერ შემუშავებულ სტიპენდიების პროგრამებში, სადაც გაივლიდნენ სწავლებას იმავე პროფესიონალების მიერ, რომელნიც მუშაობენ დანარჩენ სტიპენდიანტებთან. შესაბამისად, მოხდებოდა მათი მომზადება პროფესიონალური კალათბურთისთვის, სპეციალურად შერჩეული პროგრამით.

– რა მოგება შეიძლება მიიღოს საქართველომ ამ პროექტისგან?

– ნათელია, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ამ შეთანხმების საფუძველზე ქართველ მოთამაშეებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, ჩვენი პროფესიული გუნდის დახმარებით მიიღონ სიღრმისეული გამოცდილება, ივარჯიშონ ჩვენს სპორტულ ცენტრებში, ითამაშონ მაღალი რანგის საერთაშორისო კალათბურთელებთან ერთად, რისი მიღწევაც საქართველოში დარჩენით, სამწუხაროდ, შეუძლებელი იქნებოდა.

მთელი ეს ინვესტიცია, რომელსაც საქართველოს კალათბურთის ფედერაცია აღნიშნულ პროექტში დებს, სწორი ნაბიჯების გადადგმისა და თანამშრომლობის საფუძველზე 8-9 წელიწადში უკან დაუბრუნდება და მთელ იმ სარგებელს, რომელსაც ახალგაზრდა თაობების აღზრდით ნახავს, სრულიად უსასყიდლოდ მიიღებს.

კიდევ ერთი კომენტარი, რომელიც გაჟღერდა, არის ის, თითქოს ბასკონია მოგებას ნახულობს იმით, რომ ბევრი მოთამაშე ჰყავს, ვისზეც გარკვეული უფლებები გააჩნია. ჩვენ ამას არ ვეთანხმებით, რადგან ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს, რომელიმე მოთამაშე მოხვდეს ბასკონიაში, კლუბის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონიდან გამომდინარე.

ის ფაქტი, რომ ბასკონიაში ერთი წლის განმავლობაში ნავარჯიშებმა 16 წლამდე მოთამაშეებმა შეძლეს საქართველოს ნაკრების ევროპის ბ დივიზიონიდან ელიტაში გადასვლა, კიდევ უფრო გვიმყარებს იმედს, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამის საფუძველზე და ესპანეთში ახალგაზრდა ქართველ კალათბურთელთა პროფესიონალური პრაქტიკების გავლით დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელია.

ბუნებრივია, რომ ეს მხოლოდ ბასკონიის დამსახურება არ არის, მაგრამ, გვინდა ვიფიქროთ, რომ გარკვეული წვლილი ჩვენც შევიტანეთ.

ფინანსური ასპექტი და პროფესიონალური სწავლება – ასევე გაჟღერდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ფედერაცია მაინც წაგებაში იქნება, 8-9 წლის შემდეგ ზუსტად იგივე თანხა რომ დაიბრუნოს. ამგვარი სახის მსჯელობა მიუთითებს იმას, რომ არ ვითვალისწინებთ იმ შრომას, რომელიც ამ ხნის განმავლობაში იქნება გაწეული ქართველი კალათბურთლების მიმართ. არ ვითვალისწინებთ მათ პროფესიულ ზრდას, რაც ისევ და ისევ საქართველოს ასაკობრივი და ეროვნული ნაკრების წარმატებების საწინდარი იქნება.

არსებობენ სხვა კლუბებიც, რომელთაც აკადემიური სასწავლო სისტემის სანაცვლოდ ფიქსირებული ტარიფები აქვთ და ისინი წელიწადში 30-50.000 ევროს ფარგლებში მერყეობენ.

ბასკონიამ ახალგაზრდა ქართველი მოთამაშეები აკადემიაში კი არ გააწევრიანა, არამედ სტიპენდირებულ პროექტში ჩართო, რომელსაც 12 პროფესიონალი ავარჯიშებს, სთავაზობს მაღალი დონის მომსახურებას, ყოველდღიურად 3 სამუშაო ეტაპს, კერძო ძვირადღირებულ საცხოვრებელს, სადაც კლუბის პროფესიონალი კალათბურთელები და ფეხბურთელები იმყოფებიან.

– გარწმუნებთ, რომ ამგვარი ტიპის ხელშეკრულებას არავისთან გაიმეორებდნენ. მხოლოდ აღნიშნულმა გარემოებამ და სამინისტროსა თუ ფედერაციის წარმომადგენელთა დიდმა მონდომებამ და პროფესიონალიზმმა განაპირობა ის, რომ ამ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

– ფიქრობთ, რომ კლუბისთვის, რომლის ბიუჯეტი 80 მილიონ ევროს შეადგენს, ფეხბურთისა და კალათბურთის ჩათვლით, თავის „ნოუ ჰაუს“, თავის პროფესიონალურ გამოცდილებას ამ თანხაში გაუზიარებდა?

– ბუნებრივია, რომ ამ ხელშეკრულებისთვის ფინანსური ინტერესის გამო ხელი არ მოგვიწერია, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს საქმე უსასყიდლოდ უნდა ვაწარმოოთ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ პროგრამაში ინვესტირებული თანხა მთლიანად დაუბრუნდება ისევ ქართულ კალათბურთს, ხოლო ამასთან ერთად საქართველოს გაცილებით ძვირფას საჩუქარს – არაერთ პროფესიონალ კალათბურთელს მიიღებს, რომლებიც თქვენს ქვეყანას გამოადგებიან.

ილიას ზურაბიანი შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს ისტორიული პერიოდი უდგას – ეროვნული გუნდი პირველად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზურაბიანმა ის 12 კალათბურთელი დაასახელა, რომლებიც გერმანიასთან და სერბეთთან მოახლოებულ მატჩებში ქვეყნის ღირსებას დაიცავენ.

შემადგენლობა იდეალური ნამდვილად არ არის. ამ თემაზე უფრო ვრცლად შემდეგში ვისაუბრებთ, ახლა კი გაგაცნობთ, ვინ არის ნაკრებში გამოძახებული.

მანუჩარ მარკოიშვილი (რეჯანა, იტალია), მაიკლ დიქსონი (სტრასბური, საფრანგეთი), გოგა ბითაძე (მეგა ბიმაქსი, სერბეთი), ნიკა ცქიტიშვილი (უგუნდოდ), მერაბ ბოქოლიშვილი, რევაზ როგავა, ნიკა დარბაიძე (ყველა ოლიმპი), ლევან ფაცაცია, მიხეილ ბერიშვილი (ორივე დინამო), ბექა ბექაური, აკაკი დვალიშვილი (ორივე ქუთაისი), ანატოლი ბოისა (კაკტუსი).

საქართველოს ნაკრები ქვეჯგუფში გერმანიის, სერბეთისა და ავსტრიის ნაკრებებთან ერთადაა. ჯგუფიდან 3 საუკეთესო გუნდი მეორე შესარჩევ ეტაპზე გადაინაცვლებს.

ზუროსის გუნდი ზედიზედ 3 გასვლით შეხვედრას ჩაატარებს და მე-2 წრეში უკვე საშინაო მატჩები ელოდება.

24 ნოემბერი: გერმანია-საქართველო;

27 ნოემბერი: სერბეთი-საქართველო;

23 თებერვალი: ავსტრია-საქართველო;

25 თებერვალი: საქართველო-გერმანია;

29 ივნისი: საქართველო-სერბეთი;

2 ივლისი: საქართველო-ავსტრია.

შედეგები

20 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბრაიტონი-სტოკი 2:2

საუტჩინიო ცხრილი:

1.სიტი	12	11	1	0	40-7	34
2.მანჩესტერი	12	8	2	2	27-6	26
3.ჩელსი	12	8	1	3	23-10	25
4.ტოტენჰემი	12	7	2	3	20-9	23
5.ლივერპული	12	6	4	2	24-17	22
6.არსენალი	12	7	1	4	22-16	22
7.ბარნლი	12	6	4	2	12-9	22
8.უოტფორდი	12	5	3	4	19-21	18
9.ბრაიტონი	12	4	4	4	13-13	16
10.ჰადერსფილდი	12	4	3	5	8-17	15
11.ნიუკასლი	12	4	2	6	11-14	14
12.ლესტერი	12	3	4	5	16-18	13
13.ბორნმუთი	12	4	1	7	11-14	13
14.საუთჰემპტონი	12	3	4	5	9-14	13
15.სტოკი	12	3	4	5	15-24	13
16.ვესტერტონი	12	3	3	6	12-24	12
17.ვესტ ბრომვიჩი	12	2	4	6	9-18	10
18.ვესტ ჰემი	12	2	3	7	11-25	9
19.სუონსი	12	2	2	8	7-15	8
20.კრ.პალასი	12	1	2	9	6-24	5

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ეიბარი-ბეტისი 5:0

საუტჩინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	12	11	1	0	33-4	34
2.ვალენსია	12	9	3	0	32-11	30
3.რეალი	12	7	3	2	22-9	24
4.ატლეტიკო	12	6	6	0	16-6	24
5.სევილია	12	7	1	4	14-12	22
6.ვილიარეალი	12	6	3	3	19-12	21
7.სოსიედადი	12	5	3	4	25-22	18
8.ლეგანესი	12	5	2	5	9-11	17
9.ბეტისი	12	5	2	5	21-25	17
10.ხეტაფე	12	4	4	4	19-14	16
11.ხირონა	12	4	4	4	14-17	16
12.ლევანტე	12	3	6	3	14-15	15
13.სელტა	12	4	2	6	23-19	14
14.ესპანიოლი	12	3	4	5	9-15	13
15.ბილბაო	12	3	3	6	12-16	12
16.დეპორტივო	12	3	2	7	15-23	11
17.ეიბარი	12	3	2	7	11-25	11
18.მალაგა	12	2	1	9	9-25	7
19.ალავესი	12	2	0	10	6-20	6
20.ლას პალმასი	12	2	0	10	8-30	6

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დინამო-კაიზერი 1:2

იტალია. სერია ა

ვერონა-ბოლონია 2:3

საუტჩინიო ცხრილი:

1.ნაპოლი	13	11	2	0	34-9	35
2.ინტერი	13	10	3	0	25-9	33
3.იუვენტუსი	13	10	1	2	37-14	31
4.რომა	12	10	0	2	23-8	30
5.ლაციო	12	9	1	2	32-14	28
6.სამპდორია	12	8	2	2	27-15	26
7.მილანი	13	6	1	6	19-18	19
8.ტორინო	13	4	6	3	18-20	18
9.ფიორენტინა	13	5	2	6	22-18	17
10.ბოლონია	13	5	2	6	14-17	17
11.კიევო	13	4	5	4	15-20	17
12.ატალანტა	13	4	4	5	19-18	16
13.კალიარი	13	5	0	8	12-21	15
14.უდინეზე	12	4	0	8	18-23	12
15.კროტონე	13	3	3	7	11-24	12
16.სასუოლო	13	3	2	8	8-22	11
17.სპალი	13	2	4	7	11-21	10
18.ჯენოა	13	2	3	8	11-19	9
19.ვერონა	13	1	3	9	10-29	6
20.ბენევენტო	13	0	0	13	6-33	0

იტალია. სერია ბ

პალერმო-ჩიტადელა 0:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

ამიენი-ლილი 3:0

საუტჩინიო ცხრილი:

1.პსჟ	13	11	2	0	43-9	35
2.მონაკო	13	9	2	2	35-13	29
3.ლიონი	13	7	5	1	32-15	26
4.მარსელი	13	7	4	2	27-18	25
5.ნანტი	13	7	2	4	12-13	23
6.კაენი	13	6	1	6	9-14	19
7.სტ.ეტიენი	13	5	3	5	14-18	18
8.მონპელიე	13	4	5	4	9-8	17
9.ბორდო	13	4	5	4	17-19	17
10.ტულუზა	13	4	4	5	12-17	16
11.რენი	13	4	3	6	15-17	15
12.ამიენი	13	4	3	6	11-14	15
13.დიჟონი	13	4	3	6	17-22	15
14.ტრუა	13	4	3	6	13-18	15
15.გენგამი	13	4	3	6	14-22	15
16.ანჟე	13	2	8	3	17-20	14
17.ნიცა	13	4	2	7	15-20	14
18.სტრასბური	13	3	4	6	15-24	13
19.ლილი	13	3	3	7	12-19	12
20.მეცი	13	1	1	11	5-24	4

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ნიორი 3:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პაოკი-ატრომიტოსი 2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქარაბუქი-ქაშიმფაშა 0:2

ჰოლანდია. ექსტრაჯლასი

ზაგლებიე-კორონა 0:0

დანია. სუპერლიგა

ოლბორგი-მიდტიულანდი 0:1

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

აიამ პირველი წრე წაუგებლად ჩაამთავრა

აია-ხახები 30:12

ქუთაისის აიამ დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის პირველ წრეში ცხრავე თამაში მოიგო. რეგულარული გათამაშების ლიდერმა ბოლო ტურში რუსთავის ხარები მიიღო და 30:12 დაამარცხა.

ანგარიში მასპინძელთა მგეზავმა გიორგი ბაბუნაშვილმა ჯარიმით გახსნა, ხოლო მე-17 წუთზე ზურაბ ძნელაძემ ხაზი გაჭრა, ოთარ ძაგნიძეს ოფლოუდი ამოუგდო და შეხვედრის პირველი ლელო გავიდა. სტუმრებმა 3-წუთიანი იერიშით უპასუხეს, მანძილის მოგება ვერ მოახერხეს, სამაგიეროდ ჯარიმა გამოიმუშავეს, მაგრამ უშანგი მჭედლიშვილის დარტყმა არაზუსტი იყო. სამაგიეროდ ბაბუნაშვილი არ შეცდა და 25-ე წუთზე ანგარიში 11:0 გახდა.

რუსთაველებმა 2 წუთში უპასუხეს. მორკინალებმა ქუთაისელთა დაცვას შემჭიდროება აიძულეს, ბურთი ხაზზე გაიშალა და დათო თაბუკაშვილი ალამთან შეფრინდა. თავის მხრივ აიამ ჯარიმა აღარ დაარტყა და მოლის შემდეგ ძაგნიძე ძელებსშუა შევიდა, თუმცა დამიწება ვერ მოახერხა. სამაგიეროდ მასპინძლებმა შერკინებაში ჯარიმა გამოიმუშავეს, თემურ თუთბერიძემ ბურთი სწრაფად გაითამაშა და ზურაბ ძნელაძეს დაცვის ხაზი გააგლეჯინა. ბაბუნაშვილმა გარდასახა და ტაიმი 18:5 დასრულდა.

მე-2 ტაიმის 20-25 წუთი სტუმართა იერიშებში გაილია. აიამ კი დაცვაში თავგანწირვით ითამაშა და მხოლოდ ერთი ლელო გაუშვა. 51-ე წუთზე რუსთაველებმა შერკინებიდან ხაზზე გაიტანეს ბურთი, ის ბოლომდე ჩაათამაშეს და ზურა ქავთარაძის ლელო მჭედლიშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა.

დასკვნით წუთებში აიამ ინიციატივა დაიბრუნა, 72-ე წუთზე მიხეილ რატიაშვილმა ახლოდან შეუტია და მცველებმა მისი შეჩერება ვეღარ მოახერხეს, ხოლო ბაბუნაშვილმა გარდასახვით კიდევ 2 ქულა აიღო. 3 წუთში თავი ლაშა ლომიძემ გამოიჩინა, მან მეტოქის შეცდომით ისარგებლა და მეტოქის 22-ში შევიდა, მერე მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა, სადაც მორკინალების რამდენიმე დარტყმის შემდეგ ბურთს ადგილზე დახვდა და შეხვედრის საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 30:12.

ლელო-სარასენსმა 24:0

ლელო-სარასენსმა პირველი წრის დასკვნით ტურში მარნეულის არმაზი მიიღო და მეტოქე ბონუსქულით დაამარცხა – 24:0.

ორივე გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა და თამაშის ხარისხი სასურველისგან შორს იყო, თუმცა ახალგაზრდა ლელოელებმა მეტოქისთვის 3 ლელოს გატანა მაინც მოახერხეს.

შეხვედრა არმაზის შეტევებით დაიწყო, მაგრამ ანგარიში ლელო-სარასენსმა გახსნა. რატი შანიძის მიერ საკუთარი ნახევრიდან დაწყებული იერიში დემე თაფლაძემ გააგრძელა, დაუცველ ფლანგზე გაიქცა და ლელომდე 50 მეტრი ირბინა, ხოლო თენგიზ პერანიძემ გარდასახვა გაიტანა. მე-18 წუთზე მე-2 ლელო გავიდა, ამჯერად მარცხენა ფლანგზე ალექსანდრე ხეცოიძე გაიქცა და ის მხოლოდ 5-მეტრიან წყვეტილთან შეაჩერეს, რაქიდან პერანიძემ თავად შეუტია და გარდასახვაც ზუსტად შეასრულა – 14:0.

ამის შემდეგ თამაშის ხარისხმა და სანახაობრივმა მხარემ კიდევ უფრო იკლო. მეორე ტაიმში მოთამაშეები 2-ჯერ წაკინკლავდნენ და რეფერიმ ამის გამო თითო გუნდიდან 2-2 მორაგბე გაასინბინა, ხოლო ტაიმის დასრულებამდე ყვითელი ბარათი კიდევ 2-მა მოთამაშემ იხილა. ამავე ტაიმში პერანიძემ ერთი ჯარიმა გაიტანა, ხოლო შეხვედრის მიწურულს რაქიდან თორნიკე ახობაძემ შეუტია და პრემიალური ლელო გაიტანა, ოთარ ბარკალაიამ კი გარდასახვით საბოლოო შედეგი დაფიქსირა – 24:0.

ლოკომოტივი-ახმეა 40:22

ლოკომოტივმა დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის სტარტზე 2 თამაში წააგო, რის შემდეგაც 6-მატჩიანი მოგებების სერია გამოაცხო, აქედან ბოლო 3 ბონუს ქულითაა და სატურნირო ცხრილში ლიდერთა შორისაა.

პირველი წრის დასკვნითი ტურში ლოკომოტივმა დედაქალაქურ დერბიში არმიას 40:22 სძლია. რკინიგზელებმა 3 ლელო მიიღეს, თავად 6 გაიტანეს და მეტოქეს ბონუს ქულა არ დაანებეს.

ჯიქი-ბათუმი 12:22

საქართველოს ჩემპიონი გორის ჯიქი ბათუმს ეწვია და 3 უპასუხო ლელოთი, 22:12 დაამარცხა. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმელებს ბორჯღალოსნები – ლაშა ხმალაძე და კოკი თხილაიშვილი აკლდათ, ისინი საკუთარ სტადიონზე ფავორიტებად ითვლებოდნენ, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ჯიქმა 2-კვირიანი შესვენება მეტოქეზე უკეთ გამოიყენა და მასპინძლებთან დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. გორელებმა მეტოქეს თითქმის ყველაფერში აჯობეს. სტუმრები განსაკუთრებით კარგად ღიაა თამაშისას გამოიყურებოდნენ, ბურთს მაღალ ტემპში, უშეცდომოდ შლიდნენ და ფაზებს კინძავდნენ, რასაც ბათუმმა ვერაფერი დაუპირისპირა.

ამ მოგებით ჯიქი მე-4 ადგილამდე აღზევდა.

აკადემია-ბაგრატი 34:5

ანზორ სიჭინავამ და გიორგი ილურიძემ ქუთაისის ბაგრატს 2-2 ლელო გაუტანეს და აკადემიას დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის პირველი წრის დასკვნით შეხვედრაში 34:5 მოაგებინეს.

„მხატვრებს“ განვლილ 8 მატჩში სულ 9 ლელო ჰქონდათ გატანილი, თუმცა უშუალო კონკურენტთან მაგრად მოინდომეს და გამარჯვება ბონუსით აღნიშნეს. ამ მატჩამდე გუნდებს თითო თამაში ჰქონდათ მოგებული და აუტსაიდერების ჯახში დაქვეითების პოტენციური კანდიდატი უნდა გამოვლენილიყო. აკადემიამ მოგებით მე-7 პოზიციაზე გადაინაცვლა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დიბალამ შესაძლოა იუვენტუსი დატოვოს

იუვენტუსის არგენტინელმა ვარსკვლავმა პაულო დიბალამ განაცხადა, რომ მთელი კარიერის იუვენტუსში გატარებას არ აპირებს და მომავალში მას სხვა კლუბში ვიხილავთ, მაგრამ ჯერჯერობით დიბალა იუვენტუსში ბედნიერია.

– არავინ იცის, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები და იუვენტუსიდან წასვლას არ გამოვრიცხავ. იუვენტუსში ბედნიერი ვარ, მაგრამ მთელი კარიერის აქ გატარებას არ ვაპირებ, – განაცხადა პაულო დიბალამ.

დიბალას ყიდვა ბევრ ევროპულ გრანდს სურს, მაგრამ იუვენტუსი მის გაშვებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

ალექსის სანჩესი რეალსაც მოუნდა

მადრიდის რეალი არსენალის ჩილელი ფორვარდის ალექსის სანჩესის ყიდვას შეეცდება და სამეფო გუნდი მზად არის, ამ ტრანსფერში 40 მილიონი ევრო გადაიხადოს.

სანჩესის შეძენა ბევრ სხვა კლუბსაც სურს, მაგრამ არსენალი მის გაყიდვაზე უარს აცხადებს. რეალი ახალი ფორვარდის ძიებაშია და სანჩესი ერთ-ერთ კანდიდატურად განიხილება. ალექსისი მანჩესტერ სიტის რადარზეც იმყოფება და მანჩესტერელები მზად არიან, მის ტრანსფერში არსენალს 75 მილიონი ევრო გადაუხადონ.

დემბელე, სავარაუდოდ, რეალთან შეხვედრისთვის დაბრუნდება

ბარსელონის ფრანგი ფორვარდი უსმან დემბელე შესაძლოა 23 დეკემბერს რეალთან შეხვედრისთვის დაბრუნდეს. დემბელე უკვე ვარჯიშობს, თუმცა ჯერჯერობით – ინდივიდუალურად. ერთ თვეში დემბელე სრულ მზადყოფნაში იქნება, მაგრამ, სავარაუდოდ, ვალვერდე არ გარისკავს და დემბელეს რეალის წინააღმდეგ არ ათამაშებს.

უსმან დემბელე ბარსელონამ 105 მილიონ ევროდ შეიძინა და მასზე კატალონიაში დიდ იმედებს ამყარებენ. სექტემბრის შუა რიცხვებში დემბელემ ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც ის მოედანზე არ გასულა.

ბარსელონა მესუტ ოზილის ყიდვას აპირებს



ბარსელონამ იანვარში შესაძლოა არსენალის გერმანელი ნახევარმცველი მესუტ ოზილი იყიდოს. ოზილს უკვე დიდი ხანია, არსენალიდან წასვლა სურს, მაგრამ ჯერჯერობით მისი სხვა გუნდში გადასვლა არ ხერხდება. ბარსელონა მზად არის, ოზილის ტრანსფერში 20 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ამ თანხაზე არსენალი, სავარაუდოდ, უარს იტყვის და კატალონიელებს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევთ.

ოზილი წლების განმავლობაში ბარსელონის მთავარი მეტოქის, მადრიდის რეალის ფეხბურთელი იყო.

ჩელსის მარკო ასენსიოს შეძენა სურს

ლონდონის ჩელსიმ მადრიდის რეალის ახალგაზრდა ფეხბურთელ მარკო ასენსიოს დაადგა თვალი და შესაძლოა მალე ის ლონდონში ვიხილოთ.

ასენსიოს სურს ჩელსიში თამაში და უკმაყოფილოა იმით, რომ რეალში მას ძირითად შემადგენლობაში იშვიათად აყენებენ. ჯერჯერობით ეს ინფორმაცია თვითონ ასენსიოს არ დაუდასტურებია, მაგრამ ჭორები მაინც გავრცელდა.

მარკო ასენსიო ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და წლევანდელ სეზონში მან უკვე რამდენიმე ლამაზი გოლი გაიტანა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

22 ნოემბერი

ვერძი – ეგოიზმი და ქედმაღლობა არას გარგებთ. გარშემომყოფებს, საქმიან პარტნიორებს მეტი გაგებით მოეკიდეთ. ** კურო** – თავი აკონტროლეთ, უარყოფით ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. **ტყუპები** – მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაფერისი პერიოდია. ნერვებს არ აჰყვეთ. **კირჩხიბი** – ისწავლეთ ემოციების მართვა. ერიდეთ მძიმე ფიზიკურ შრომას. **ლომი** – ნებისმიერი მოქმედებისას გარშემომყოფების წინააღმდეგობას აწყდებით. ნუ იქნებით აგრესიული. **ქალწული** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ჩანაფიქრის განხორციელებას მოახერხებთ. **სასწორი** – უხეშობას უხეშობითვე ნუ უპასუხებთ. მეტი მოთმინება გმართებთ. ახალი იდეების შესახებ ნურავის უამბობთ. **ღრიანკალი** – აქტიურად დაისვენეთ. ბევრი იარეთ ფეხით. დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **მშვილდოსანი** – ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. გეძლევათ შანსი, თქვენი ნიჭი სრულად წარმოაჩინოთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაზროვნეთ პოზიტიურად. ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **მერწყული** – შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება დღის დევიზია. გელით რომანტიკული პაემანი. **თევზები** – მიღებული ინფორმაცია გადაამოწმეთ. საყიდლებზე წასვლა დღეს რეკომენდებული არ არის.

გისუჰვებთ ბედნიეჰ დღეს!

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. სპორტის სათამაშო სახეობა; 2. თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში; 3. მდინარე ნიუ იორკში; 4. აფრიკული ანტილოპა; 5. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 6. ბრიტანეთის ნაწილი; 9. დამწერლობის უძველესი სახეობა, საგნებისა და მოვლენების გადმოცემა ნახატების საშუალებით; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 14. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 16. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 18. თირკმლის ანთება; 20. მასობრივი თავყრილობა მწვავე პოლიტიკურ-საყოფაცხოვრებო საკითხებზე; 23. ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 24. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 25. საქართველოს რაგბისტთა გუნდის მწვრთნელი; 26. მარცვლეულის, თავთავიანი კულტურების ნათესი.

თარაზულად: 7. ავსტრალიელ აბორიგენთა სატყორცნი იარაღი; 8. ქართველი ბალეტმაისტერი, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 12. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 13. მკვეხარა, ტრაბახა ადამიანი; 15. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 17. მუსიკის, ხმის ჩანაწერი ფირზე, ფირფიტაზე, დისკზე; 19. კუთხე საქართველოში; 21. შემოდგომაზე ნათესი ხორბალი; 20. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 27. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში. 28. ტბების შემსწავლელი მეცნიერი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. როტვეილერი; 2. მოდული; 3. ტავერნა; 4. რაცია; 5. ფასკუნჯი; 6. ლიონი; 7. ჰამსუნი; 9. გუჯარი; 13. ტენგე; 17. ნუგა; 18. არა.

თარაზულად: 1. რადიუმი; 3. ტუბერი; 8. კადიმა; 10. გურიელი; 11. მენჯი; 12. ხარფუხი; 14. ფლირტი; 15. ყვარელი; 16. ჯანღი; 19. ბოგოტა; 20. ჭიდაობა; 21. არმაზი

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ალტაი; 2. ოხორი; 3. ინდოეთი; 4. იხვი; 5. სონი; 6. გრანიტი; 9. ანანიაშვილი; 10. წინანდალი; 11. მანდოლინა; 14. ჭუპრი; 16. გეიშა; 18. კრახუნა; 20. მოლუსკი; 23. პესო; 24. კანტი; 25. სქემა; 26. გეტა.

თარაზულად: 7. ანჩისხატი; 8. იონოსფერო; 12. გენია; 13. სამოა; 15. ნანდუ; 17. პერგამონი; 19. ხავსი; 21. ტაბლა; 22. გნოლი; 27. ანდერსენი; 28. ტექტონიკა.

მთავრობა ბათუმში კვადრატულ მეტრ მიწას 50 ლარად და უპირობოდ ყიდის

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ბათუმში, თამარის დასახლებაში, 3.465 კვ/მეტრ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს უპირობოდ, ელექტრონული აუქციონით ყიდის. შესყიდვის საწყისი ფასი 160.000, ვაჭრობის ბიჯი კი 4.000 ლარია. საწყისი ფასის მიხედვით, თუ ელექტრონულ ვაჭრობაში ნაკვეთის ყიდვის სურვილი მხოლოდ ერთმა პირმა გამოთქვა, ერთ კვადრატულ მეტრს მსურველი დაახლოებით 50 ლარად შეიძენს. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ეს საბაზრო ფასია.

ამ ნაკვეთის გვერდით სამინისტრო კიდევ ერთ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს – 7.941 კვ/მეტრს, პირობადებული აუქციონით ყიდის. ნაკვეთის საწყისი ფასი 358.000 ლარია, რომლის მიხედვითაც კვადრატული მეტრის ფასი, დაახლოებით 46 ლარი, ვაჭრობის ბიჯი კი 10.000 ლარია. აუქციონის მთავარი პირობა ამ ტერიტორიაზე ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერების ცენტრის და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა და ამისთვის მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებაა. მყიდველმა მშენებლობის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს ასევე არანაკლებ საქართველოს ასი მოქალაქის დასაქმება და როგორც დასაქმებულების რაოდენობა, ასევე პროექტის პროფილი ხუთი წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს.

არის თუ არა პირობები სამართლიანი მაშინ, როცა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სამინისტრო ერთ კვადრატულ მეტს 50 ლარად უპირობოდ და მეორე შემთხვევაში მილიონიანი ინვესტიციის განხორციელების პირობით ყიდის? – სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გელა ცინცაძე განმარტავს, რომ პირობა სამართლიანია:

– ნაკვეთის ფასი განსაზღვრულია აუდიტის დასკვნის მიხედვით და მას აქვს არგუმენტები. რაც შეეხება იმას, სამართლიანია თუ არა ის, რომ ასევე თამარის დასახლებაში მეორე ნაკვეთი იყიდება ინვესტიციის განხორციელების ვალდებულების აღების პირობით – სამართლიანია, რადგან თვითონ ინვესტორმა, რომელსაც სურს ამ ნაკვეთის შეძენა, შემოგვთავაზა ეს პირობა. მეორე ნაკვეთს კი ყიდის სამინისტრო და თავისუფლებას ანიჭებს მყიდველს იმასთან დაკავშირებით, თუ რას ააშენებს იქ, – განმარტა გელა ცინცაძემ.

სახელმწიფო ქონების გასხვისების ორივე ფორმას იწუნებს საიას ბათუმის ორგანიზაცია. საიას იურისტის ანა მდინარაძის შეფასებით, ორივე შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქონების ამ ფორმითა და ამ პირობით განკარგვა არ იქნება რაციონალური და იგი ხელს ვერ შეუწყობს ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას რეგიონში:

– ნებისმიერი რესურსი არის ამოწურვადი, ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა მოახდინოს გრძელვადიანი პერსპექტივითა და საზოგადოებრივ, საყოველთაო სიკეთეზე ორიენტირებით, ანუ ქონების გასხვისებით პირდაპირ თუ ირიბად ისევ საზოგადოებამ უნდა მიიღოს სარგებელი. ამ შემთხვევაში, მოცულობითი მიწის ნაკვეთის განკარგვა ისე ხდება, რომ ერთ შემთხვევაში ძალიან ზოგადი პირობა აქვს ქონების შემძენს წაყენებული, ხოლო მეორე შემთხვევაში, არავითარი პირობა არ არის დადგენილი.

ქუთაისში ოთარ მამფორიას ბიუსტი აიღეს



ქუთაისში მწერლისა და პოეტის ოთარ მამფორიას ბიუსტი აიღეს.

ოთარ მამფორიას ბიუსტი ქუთაისის ცენტრში პარკში ოთარ ქორქიას და ოთარ სულაბერიძის ბიუსტებთან ერთადაა განთავსებული.

ინფორმაცია ელისო კილაძემ გაავრცელა:

– სამი ოთარის ძეგლი ქალაქის ცენტრში საზოგადოება „ქუთაისელის“ და კუკური კენჭაძის ძალისხმევით დაიდგა. დღეს დილით ერთ ძეგლს თავი აღარ აქვს. არავინ არაფერი არ იცის. 18%-იანი მერი მესმის, მაგრამ მერობის პირველივე კვირაში ძეგლის ქურდობა ნამეტანია!

ელისო კილაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ქეთი ბერძენიშვილი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ბიუსტი არ მოუპარავთ, იგი ქუთაისის მერიამ აიღო:

– არ მოუპარავთ. თაბაშირის იყო და ბრინჯაოში ვაკეთებთო. მერიის ოფიციალური განცხადებაა.

შორენა ბეგაშვილი და ზალიკო ბერგერი „ნიჭიერის“ წამყვანები გახდნენ

მსახიობი შორენა ბეგაშვილი და დიზაინერი ზალიკო ბერგერი „ნიჭიერის“ წამყვანები გახდნენ.

„ნიჭიერის“ პირველ ნახევარფინალზე შორენა კონკურსანტების გულშემატკივრებთან ერთად იმყოფებოდა, ზალიკო და შოუს საპატიო სტუმრებს აცნობდა მაყურებელს. „ნიჭიერის“ პირველი ნახევარფინალისტების გასამხნევებლად მივიდნენ მსახიობები, მომღერლები: ოთო ნემსაძე, ნანული სარაჯიშვილი, ნოდიკო ტატიშვილი, დიმა კობეშავიძე, აჩიკო მეფარიძე, მიშო სულუხია...

არც შორენასთვის და არც ზალიკოსთვის გადაცემის წამყვანობა უცხო ხილი არ არის. შორენა ვანიკო თარხნიშვილთან ერთად გადაცემა „ილბლიანი ბორბალის“ წამყვანი იყო „რუსთავი 2“-ზე, ზალიკო კი გადაცემა „ზალიკოს ღამეს“ უძღვებოდა.

„ნიჭიერმა“ პირველი ფინალისტები დაასახელა

სახალხო პროექტ „ნიჭიერში“ პირველი ნახევარფინალის შემდეგ ორი ფინალისტი დასახელდა.

რვა ნახევარფინალისტმა ორიგინალური ნომრები წარმოადგინა და ჟიურის წევრების მაკა ჩიჩუას, რუსკა მაყაშვილის, სტეფანე მღებრიშვილის და გიორგი ბახუტაშვილის დადებითი შეფასებები დაიმსახურა.

მაყურებლის და ჟიურის წინაშე წარდგნენ პატარა მოცეკვავე ნინი გვაზავა, „წეროები“ მოცეკვავე გოგონათა ანსამბლი წეროვანიდან, მომღერალი პაატა თავდგირიძე, ქიმიკოსი გიორგი კოტორაშვილი, ინკლუზიური ცეკვის დასი, მომღერალი კახაბერ ჭუმბურიძე, ექსტრემალები იგორი და ტატიანა და მოცეკვავე აკაკი აფხაძე.

ვანიკო თარხნიშვილის და გიორგი ყიფშიძის მიერ რვავე ნახევარფინალისტის წარდგენის შემდეგ, გადამწყვეტი ეტაპი დადგა და მაყურებელმა საუკეთესო ფინალისტი დაასახელა.

სულ დაფიქსირდა 32.393 ხმა. ამ ხმებით 42.001 პროცენტი მიიღო მომღერალმა კახაბერ ჭუმბურიძემ. მეორე ფინალისტი ჟიურიმ დაასახელა. გადაწყვეტილება გიორგი ბახუტაშვილმა გაახმოვანა და განაცხადა, რომ ჟიურის ფინალში ქიმიკოს გიორგი კოტორაშვილის ნახვა სურს.

„ნიჭიერის“ შემოქმედებითმა გუნდმა დანარჩენ 6 ნახევარფინალისტს ისევ მისცა შანსი მოხვდნენ შოუს ფინალში. „ნიჭიერის“ ფეისბუქ გვერდზე თითოეული მონაწილე კონკურსანტის ფოტო გამოქვეყნდა. მომავალ ორშაბათს ყველაზე მეტი გაზიარების მქონე ფოტოზე წარმოდგენილი კონკურსანტები ფინალში მიიღებენ მონაწილეობას.

მომავალ ორშაბათს მაყურებლის და ჟიურის წინაშე კიდევ 8 ნახევარფინალისტი წარდგება და „ნიჭიერის“ ფინალში მოსახვედრად იბრძოლებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პორტუგალიის სანაპიროსთან ისტორიამდელი ზვიგენი დაიჭირეს

პორტუგალიის ზღვისა და ატმოსფეროს კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ალგარვეს რაიონის სანაპიროსთან ზვიგენის უიშვიათესი სახეობა დაიჭირეს.

თევზი, რომელიც ისტორიამდელ სახეობას წარმოადგენს, 1,5 სიგრძისაა. ზვიგენს, რომელიც 700 მეტრის სიღრმეში დაიჭირეს, 300-მდე კბილი ჰქონდა. ანალოგიური სახეობის არსება 2015 წელს ავსტრალიელმა მეთევზეებმაც დაიჭირეს.

ისტორიამდელი სახეობის ზვიგენი 600–1000 მეტრის სიღრმეში ბინადრობს, ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის ტროპიკული და ზომიერი სარტყლის წყლებში. მის ძირითად საკვებს კალმარები წარმოადგენს და ის ადამიანისთვის საშიში არ არის.

ეს სახეობა 80 მილიონზე მეტი წლის წინ წარმოიქმნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კობრისა და პითონის ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს



ტაილანდის ქალაქ კრაბიში ვიდეოზე გადაიღეს ხუთმეტრიანი სამეფო კობრისა და მეტრნახევრიანი პითონის ორთაბრძოლა.

თვითმხილველთა მტკიცებით, ქვეწარმავლების ორთაბრძოლა დაახლოებით სამი საათი გრძელდებოდა. საბოლოო ჯამში კობრამ მოახერხა მეტოქისთვის ეკბინა და პითონი დაიღუპა. ამის შემდეგ სპეციალისტებმა, რომელთა საქმიანობას გველების დაჭერა წარმოადგენს, მათ ქვეწარმავალი დაიჭირეს, რათა ის დასახლებული პუნქტისთვის მოეშორებინათ.

აღსანიშნავია, რომ სამეფო კობრა მსოფლიოში ყველაზე დიდ შხამიან გველად ითვლება. მოზრდილი ქვეწარმავლის საშუალო სიგრძე 3-4 მეტრს წარმოადგენს, თუმცა ცალკეული ეგზემპლარების სიგრძე 5,7 მეტრს აღწევს. ის ძირითადად სხვა გველებით იკვებება, მათ შორის, შხამიანითაც.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბერნარდ შოუს პიესა; 2. აქლემის ნაშიერი; 3. მჭედლის სამუშაო იარაღი. 4. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 5. ფრანგული ავტომობილი; 6. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 7. ინდოეთის ოკეანის აუზის მდინარე აფრიკის სამხრეთში; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. გიორგი ერისთავის პიესა; 17. ხორბლის ქართული ჯიში; 18. კორეული მსუბუქი ავტომობილი.

თარაზულად: 1. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 3. ძველი ფრანგული ტომი; 8. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 10. ბრიტანული ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი სამხედრო თვითმფრინავი; 11. ქალაქი ესტონეთში; 12. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 14. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში; 15. კინოთეატრი თბილისში; 16. წარსულის აღმნიშვნელი ზმნის დრო გრამატიკაში; 19. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 20. ქერის პური; 21. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი 22 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მოგზაური დორა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტრ ვეტრინე**" **10.00, 04.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ქვეღი ხიდის საიდუმლო**" **12.15**"სპორტის დაფა" **12.40**"აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25, 22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "**ჯანმრთელობა-მუდამ კარგ ფორმაში**" **15.30, 06.00** დოკ/ფ "**გერმანიის ხელოვნება**" **16.30** ტ/სერ. "**ველვეტი**" **18.30, 07.00** დოკ/ფ "**გონების თამაშები**" **20.00, 05.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **23.10** უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა **23.40 ფეხბურთი.** უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის მატჩი **01.35** უეფა-ს ჩემპიონთა მატჩის შემდგომი გადაცემა **02.10** მხ/ფ "**როცა თამაში ხელოვნებაა**"

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** პრაიმშოუ **23.30** სერ. "**დიდი შესვენება**" **4** სერ. **00.10** მხ/ფ "**შეფმზარეული**" **02.10** მხ/ფ "**ქვითი მაკკოლის მეორე მცდელობა**" **04.00** მხ/ფ "**ელიტარული საზოგადოება**" **05.25** მხ/ფ "**დრაკონის თვალები**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ბზარი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** კომედი შოუ **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაბაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** პოლიტმერტი **23.00** უცხოეთის ამბები **23.30** ღალატი

08.00 ან/ფ "**ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲝᲛᲔᲑᲘ 2**" **09.00** სერ. "**ᲨᲐᲕᲘ ᲙᲝᲓᲘ 2**" **11.00** მხ/ფ "**ᲛᲔᲙᲐᲑᲔᲚᲔ**" **13.00** სერ. "**ᲩᲘᲙᲐᲒᲝᲡ ᲛᲔᲰᲐᲜᲐᲠᲔᲑᲘ 5**" **17.00** სერ. "**ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲚᲔᲑᲘ-4**" **19.00** სერ. "**ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ-6**" **21.00** სერ. "**ᲚᲣᲠᲯᲘᲡ ᲔᲚᲤᲔᲠᲘ**" **22.00** მხ/ფ "**ᲞᲔᲠᲚ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡ**" **01.05** მხ/ფ "**ᲞᲘᲜᲖᲘᲜᲘᲡ**" **02.35** მხ/ფ "**ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲝᲛᲮᲘ**" **04.10** მხ/ფ "**ᲔᲓ ᲕᲣᲓᲘ**" **06.10** მხ/ფ "**ᲛᲔᲙᲐᲑᲔᲚᲔ**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲠᲐ**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. "**ᲒᲐᲥᲪᲔᲣᲚᲔᲑᲘ**" **22.00** სერ. "**ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ**" **23.00** ინტერვიუ ვანჩკასთან **00.00** მხ/ფ "**ᲐᲠᲛᲐ ᲞᲐᲞᲔᲛᲐᲜᲘ**" **3.40** ცენზურის გარეშე

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე ქართული ტირული მინანქარი" **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-დაბადებული ორენგუტანგებს შორის" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** საუბრები სტუდიაში "გია მაჩაბელი, ანდრია როგავა" **12.05** ღია აუდიტორია "რამაზ გახოკიძე" **12.50** გაცოცხლებული წარსული "შავნაბადა" **13.30** ან/ფ "მძინარე მზეთუნახავი" **14.40** სალბუნი "სისხლის განხილვა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ქურმუხობა" **15.50** კონცერტი **17.05** ერთსულოვანი ოჯახი "ნოდიები" **17.35** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** დ/ფ "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" II ნაწ. **18.25** პატერიკი- "ბერსახაკების მიმართ მოწყალე ასმაგად მიიღებს" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**ᲗᲣᲨᲘ ᲛᲔᲡᲮᲕᲐᲠᲔ**" **1 20.35** ძილი ნებისა "ტყის კვარტეტი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ჩვენი ფონდი "ელენე კვლელაშვილი-ბოჭორმის წმინდა გიორგის ხატი" **21.35** ეპოქის სახელები **22.20** ქართული ალბომი "პაატა ქურდოვანიძე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**ᲬᲧᲐᲠᲝ ᲒᲖᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ**" **23.45** სიბრძნისმეტყველება **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** კონცერტი

ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ხებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.689	ევრო — 3.1717
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.568	100 რუსული რუბლი — 4.5384

ამინდის პროგნოზი 22 ნოემბრისთვის

14 ნოემბრიდან

უცხოეთში დაკარგული ქართველები

ბედის უკულმართობით, XV-XIX საუკუნეებში ათასობით ქართველი აღმოჩნდა უცხო მხარეში. ამ წიგნის მიზანია, მკითხველს გაუზიაროს უცხოეთში დაკარგული ქართველების ერთი მცირე ნაწილის თავგადასავალი.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

16 ნოემბრიდან



რომან გვენცაძის საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

იუმორი

ენაბლუ მაღაზიაში პიტნის საყიდლად შევა და გამყიდველს მიმართავს:

– პი...პი...პი...პი...პი...

– აქ ვერ მოაბრუნებ ვერა, „ზადნით“ გადი, – ეუბნება გამყიდველი.

•••

ხანდაზმულ მამაკაცს პირადობის გამოცვლა უნდა. საპასპორტო განყოფილებაში თავისი ძველი საცოდავ მდგომარეობაში მყოფი პირადობის მოწმობა მიიტანა. საპასპორტოს თანამშრომელი ახალგაზრდა გოგონა ხუმრობით ეუბნება:

– ბიძია, ეს როგორი რბილი პირადობა გქონია.

– გოგონი, ცოტა ხანს ხელში ათამაშე და გამაგრდება...

•••

ქართველი ამერიკის საელჩოში ვიზის მისაღებად საბუთებს ავსებს, გრაფაში სქესი ჩაწერა: „დღეში ორჯერ“ და ჩააბარა. გადამოწმების შემდეგ რეგისტრატორი ეუბნება:

– აქ უნდა ჩაგეწერათ „მდედრობითი“, თუ „მამრობითი“.

– რო მამინდება, მაგაი ვიღა აქცევს ყურადღებას!

•••

მიხო ცდილობს ავტობუსში ვირი აიყვანოს, მაგრამ ვირი უძალიანდება, ბოლოს ნერვები მოეშლება და ეუბნება:

– ამო, შე მართლა ვირო, შენა! შენზე ნაკლები ხალხი სხედან აქა?!

•••

ბიჭმა მამის კარადაში ვიაგრას შეკვრა იპოვა და მთლიანად დალია, რის შემდეგაც დამწვრობის ცენტრში მოათავსეს ხელისგულებზე მესამე ხარისხის დამწვრობის დიაგნოზით.

•••

ქმარმა ცოლს გასძახა:

– ქალო, ეს შენი ლიფი ეზოში რომ გაგიკიდია, ბავშვებს ჰამაკი ჰგონიათ და შიგ ქანაობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი სამი მკვლელობა ძველ თბილისში

ქართული დეტექტივი ტომი 13



პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი